№ 105 **სახალხო გაზეთი** № 105

შაბათი, 11 სექტემბერი, 1910 წ. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა წელიწ. [illegible]

**ამ წლის 7 მაისიდან გამოდის**
ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო
# სახალხო გაზეთი
**ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული**
## სურათებიანი დამატება
**გაზეთის ფასი დამატებიანა:** წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური**

**დამატებით ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.**

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

***ხელის-მომწერთა საყურადღებოდ***

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

„სახალხო გაზეთის" კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამ.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пашалишвили.

**ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა** აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ განსვენებულის
### კონსტანცია ტურიაშვილის
ნახევარი წლის თავის წირვა და პანაშვიდი დანიშნულია კვირას 12 სექტემბერს, ტფილისში ქართველ კათოლიკეთა მიძინების ეკკლესიაში, კათოლიკების ქუჩა. დასაწყისი პანაშვიდისა 12-ნახევარ საათზე. (2—52—1)

**ეკატერინე გიორგის ასული კალატოზიშვილისა, ნინა ივანეს ასული ქოჩაშვილისა, ლიზა ივანეს ასული ხუციშვილისა, კეკე ბესარიონის ასული დეკანოზიშვილისა, დათიკო იაკობის ძე დეკანოზიშვილი, ნიკო პავლეს ძე ქოჩაშვილი და ალექსანდრე იორამის ძე ხუციშვილი** ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთა და მეგობართ 7 სექტემბერს ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას პირველი—ძვირფას და დაუვიწყარ შვილის, მეორენი—ერთადერთ საყვარელ ძმის, მესამე—ძმის-წულის, მეოთხე—ცოლის ძმის-წულის, ხოლო უკანასკნელნი—სიმამრიშვილის
### გიორგი (კარგო) ივანეს ძის კალატოზიშვილისას.
პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე. გამოსვენება კვირას, 12 სექტემბერს, დილის 9 საათზე (პრიუტის ქუჩა, № 36), კალოუბნის ეკკლესიაში, საიდანაც წაასვენებენ წმ. ნინოს სასაფლაოზე. (1—უ—1)

**მარიამ ანდრიას ასული პაატაშვილი, ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძე ჭიჭინაძე, გიორგი, ილია, დავით, ვასილ, ნინო, ოლგა და ნატალია პაატაშვილები, ნინო და ნიკოლოოზ ჭიჭინაძეები** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 12 სექტემბერს, ავლაბრის წმ. მარინეს ეკკლესიაში გადახდილ იქნება ნახევარ წლის წირვა და პანაშვიდი.
### ანნა ივანეს ასულის პაატაშვილი-ჭიჭინაძის
სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება $9^1/_2$ საათზე, პანაშვიდი 11 საათზე. (2—53—1)

## დასურათებული ასაწყობი ანბანი კუბიკებზე
**„ნაკადულის" პრემია).**
შემუშავებული ცალკე კომისიის მიერ პედაგოგებისაგან, მოკლე ხანში დამზადდება და დაურიგდება პრემიად „ნაკადულის" წლიურ ხელის-მომწერთა რადგანაც ამგვარი ანბანის მოთხოვნილება ქართულ ოჯახებში დიდია, ამიტომ რედაქციას სურვილი აქვს დახმარება გაუწიოს საზოგადოებას და დაუთმოს მსურველთ, არა ხელის-მომწერთ, ეხლავე დაიკვეთონ, რადგანაც რედაქცია გასასყიდად დასურათებულ ანბანს კუბიკებზე ვერ დაამზადებს. დაკვეთა 20 ენკენისთვემდე. ღირება გაუგზავნელად 1 მანეთი. (6—უ.—1)

## ტფილისის კერძო სამკურნალო
**30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.**
**ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**
**ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს,**
**ტელეფონი № 590.**

**ლამბაშიძე გ. დ.:** შინ. და ბავშ. ყ.-დღე; გარდა კვირა. 11-12 საა.
**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ. თრმ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.
**გურკო გ. ა.** შინაგ, შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.
**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.
**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
**ქიქოძე ტ. ზ.** შინაგანი, თრშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.
**მანსვეტოვი გ. მ.** შინ., თრშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.
**მუსხელიშვილი ვ. ს.**—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ., და პარასკ. [illegible]—2 ნახ. ს.
**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.
**ფირალოვი რ. ზ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.
**პაპოვი ვ. ა.** ქურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე 2—2-ნახ. ს.
**ხობოლევსკი გ. გ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.
რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა მედავათ. საფასურით. (200—ნ.—275)

პროვინციაში გაზეთების გამგზავნი
## ბიურო
პირველ სექტემბრიდან შესდგა გაზეთების საგზავნო ბიურო, რომელშიაც შედიან გაზეთები: „სახალხო გაზეთი", „საქმე", „ზაკავკაზია", „ნოვაია რეჩი" და ჟურნალები „მათრახი და სალამური", „ერი" და „თეატრი და ცხოვრება". ბიუროს მიზანია პროვინციაში ჟურნალ-გაზეთების გავრცელება. აგენტებს **მხოლოდ** ამ ბიუროსაგან შეუძლიანთ დაკვეთა ჟურნალ-გაზეთებისა. ბიუროს გამგეთ არჩეულია ერასტი დავითის ძე გორდელაძე, რომლის სახელზედაც უნდა იგზავნებოდეს, როგორც წერილები, აგრეთვე ფული შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Эриванская площадь д. Гургенова, общій входъ съ нотаріусомъ Мгебровымъ. Эрастію Давидовичу Горделадзе.

## საჭიროა აგენტი
პროვინციაში გაზეთების გამავრცელებელ ბიუროსათვის **ძლიერ საჩქაროდ.** საჭიროა გაზეთების გამყიდველი აგენტი შემდეგ ადგილებში: სამტრედიაში, ლანჩხუთში, ჩოხატაურში, ხონში, ზუგდიდში, ახალ-სენაკში, ბაქოში, ელისავეტპოლში (განჯა), ერევანში და ყარსში. წინ და წინ საჭიროა ორი კვირის გაზეთების საფასური ფული. მიმართვა და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ Эриванская площадь, д. Гургенова, обшій входъ съ нотаріусомъ Мгебровымъ, Эрасту Давидовичу Горделадзе.

### ქ. ქუთაისში
**თ. მთავრიშვილისა და ამხანაგობის**
## წიგნის მაღაზიაში
დამზადებულია დიდ-ძალი ქართული და რუსული **სახელმძღვანელო წიგნები.**
სახალხო სასწავლებლებს, სახალხო ბიბლიოთეკებს და პროვინციის წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 10 პროცენტი. ყდაზე გადახდებათ თითო შაური.
ვინც ფასდადებით გამოიწერს, მან ბე უნდა გამოგზავნოს. აქვე იმყოფება უმთავრესი საწყობი შემდეგი წიგნებისა:

| | | |
|---|---|---|
| 1. | გუთანი, ოჯახსა და სკოლაში საკითხავი წიგნი, შედგენილი ქუთ. ქართულ გიმნაზიის მასწავლებლების მიერ | ფასი 80 კ. |
| 2. | ქართული გრამატიკა ს. ხუნდაძისა | „ 50 „ |
| 3. | ქართული წერის დედანი, ს. დათეშიძისა | „ 20 „ |
| 3. | ბატონ-ყმობა საქართველოში, ალ. ხახანაშვილისა | „ 50 „ |
| 5. | საქართველოს ისტორია ს. ქვარიანისა | „ 25 „ |
| 6. | ელისო, მოთხრობა ალ. ყაზბეგისა | „ 10 „ |
| 7. | დედა-ენის ზოგიერთი სიტყვების განმარტება, პ. ქარაიასი | „ 15 „ |

(25—6.—18)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო
**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 696.

**გ. გაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.
**შ. ა. მიქელაძე**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. $1^1/_2$—$2^1/_2$ ს.
**ს. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.
**ა. პოპოვი**—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.
**ტერ-ნიკოღოსოვი დ. გ.**—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირობ. $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.
**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ½ ს, შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.
მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—436)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4. სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო**
## მიხეილ გედევანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს კვირის გარდა დილით 12—1; საღ. 6—7 საათ. გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. 20. (0—ნ.—42)

**ექიმი ე. ვაშაკიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—213)

**ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე**
იზმაილოვის ქუჩაზე N 2. **გადავიდა** იღებს ავადმყოფთ დილით 10 ს.—2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

**ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი**
იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი გ. ნ. მაგაკიანი**
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. სპეციალურად კუჭისა და ნაწლავებისა. მიიღება დილის 10—11 საათ. (ბავშვთა) საღამოს 5—7 საათი (საზოგადო). მიხეილის პროსპექტი, № 36, ტელეფონი N 388. (100—ზაღ.—29)

**ექიმი შ. ა. მიქელაძე**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველდღე საღამოს $5^1/_2$—$6^1/_2$ საათამდის. კახეთის ქ. ტელეფონი N 816.

**ბრიუსელის** უნივერსიტეტის სტუდენტი-ფილოლოგი ხელ მისაწდომ ფასებში აძლევს ფრანგულისა ლათინურისა და **სიტყვიერების გაკვეთილებს**
ადრესი რედაქციაში. (10—უ.—7)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი**
იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**ექიმი გ. ს. არჯევანიძე ქუთაისში.**
იღებს შინაგან და დედათა სენით ავადმყოფებს, ყოველ დღე კვირა უქმის გარდა, დილით 9—12 საათამდე და საღამოთი 6—7 საათ. პუშკინის ქ., სახ. ი. ი. გოგიელოვისა. (25—9—8)

**ხონის საურთიერთოს ნდობის**
## კომისია.
არჩეული 5 სექტემბერს საურთიერთო ნდობის საზოგადოების საგანგებო კრებაზედ, აცხადებს საყოველთაოდ, რომ ვისაც სურს აგის ხსენებულ ბანკისთვის დასაქირავებლად სადგომი სახლი, წარუდგინონ განცხადება და პირობები საზოგადოების გამგეობას ოც ამა სექტემბერამდის. დაწვრილებით პირობების გაგება შეიძლება გამგეობის თავმჯდომარესთან ყოველ დღე დილის 10—1 საათამდე. კვირა უქმე დღის გარდა. (3—51—2)

**ქართული სექცია** ტფილისის სახალხო უნივერსიტეტისა ამით აცხადებს **მუშათა საყურადღებოდ**, რომ ქართ. სექც. სკოლებში 15 სექტემბრიდან დაიწყება სწავლა. სწავლის ფასია სამ თვეში 1 მან. ამ სკოლაში ხუთმეტ წლისაზე პატარა არ მიიღება. მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერონ 7 სექტემბრიდან ყოველ დღე, გარდა უქმე დღეებისა, საღამოს **ექვსიდან შვიდ საათამდე.** იმავ სკოლებში: გოგოლის ქუჩა № 45 ვოგზლის მახლობლად ვერაზე, ოლგისქუჩა № 52, ოლგის საგებიო ინსტიტუტის კვერდით. ავლაბარი, ქალანთარის საქალაქო სკოლაში. (15—უ.—5)

## სამკურნალო
**ექიმთა საზოგადოებისა**
მუდმივ საწოლებით.
მიხეილის პროსპ., 59, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფ. N 1026.
**ავადმყოფთა მიღება:**

**აგაჯანოვი მიხეილ**—სიფილისი, კანისა და საშარდის ავადმყოფ. 1—2 საათ.
**ეგიაზაროვი ი. ნ.**—შინაგანი, ნერვებისა და სულიერი ავადმყოფობანი. ელექტროტერაპია. 11—12 საათ.
**კიმონტი მ. პ.**—ქირურგიული ავადმყ. 11—12 საათ.
**მაგაკიან გ. ნ.**—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 11 ნახ.—12 ნახ. საათ.
**ა. დ. კალმიკოვა-ვნუკოვა**—საქალებო ავადმყ. 11—12 საათ.
**მზარეულოვი მ. ე.** 12 ნახ.—1 ნახ. საათ. სიფილისი, კანის და საშარდის ავადმყოფობანი.

სამკურნალოში უწამლებენ ელექტრონით, უკეთებენ მასსაჟს, მოახდენენ ბაქტერიოლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევებს; უცრიან ყვავილს; შეამოწმებენ ძიძებს ფასი დარიგებისთვის **50 კაპ.** ოპერაციის და კონსულტაციის ფასი მორიგებითი. საავადმყოფო განყოფილება შესდგებ. საერთო პალატებისა და ცალკე ნომრებისაგან. (100—32—5)

## ტფილისი, 11 სექტემბერი.

**ქალაქის თავის არჩევნები.** ტფილისის საბჭოს დადგენილებით, ოცს ამ თვეს, ქალაქის თავის არჩევნები უნდა მოხდეს. საბჭოს უმცირესობა დიდს წინააღმდეგობას აცხადებდა ასეთ დაჩქარებისა გამო, მაგრამ უმრავლესობამ საჭიროდ არა სცნო იმისთვის ანგარიში გაეწია. პირუთვნელად რო შევხედოთ საქმეს, ნათლად დავინახავთ, რომ, სხვაც არა იყოს რა, უბრალო ზრდილობა მოითხოვდა, ასე არ გაკადნიერებულიყვნენ უმრავლესობის შემადგენელი ხმოსნები.

მართლა და, რა აუცილებელი საჭიროება მოითხოვს ეხლავე ქალაქის თავის არჩევას, როცა ერთი წლის შემდეგ თვით საბჭო ხელახლა უნდა იქმნას არჩეული? ქალაქის თავის სავარძელი ხომ მეფური ტახტი არ არის, რომ არჩევნების გადადება არ შეიძლებოდეს? შესაძლებელია, მომავალ საბჭოს უმრავლესობას ჭკვაში არ დაუჯდეს ეხლანდელ საბჭოს მიერ არჩეული ქალაქის თავი; ამ შემთხვევაში საბჭოსა და გამგეობის შუა ისეთი კედელი აიმართება, რომელიც საგრძნობლად შეაფერხებს თვითმმართველობის ნაყოფიერ საქმიანობას. საბჭოს უმცირესობა სამართლიანად ემუდარებოდა უმრავლესობას, მოითმინეთ, ნუ სჩქარობთ, ერთი წლიწადის გულისთვის ნუ შეჰკრავთ და ნუ შეჰბოჭავთ მომავალ საბჭოს ნებას, დაე, ქალაქის თავი ახალმა საბჭომ აირჩიოს თავისთვის, ჩვენ კი ეხლა თავისუფლად შეგვიძლიან ქალაქის თავის მოადგილეს დავენაბროთო...

ამ სამართლიანს შენიშვნებზე საბჭოს უმრავლესობამ საბუთიანი პასუხი ვერ გასცა; მაგრამ საბუთი სხვა არის, დადგენილება კიდევ—სხვა. საბჭოს უმრავლესობას გულში გადაწყვეტილი აქვს ეხლავე აირჩიოს ქალაქის თავად მისგან მოწონებული კანდიდატი და წარბ-შეუხრელად მიისწრაფის თავის მიზნისკენ. უმრავლესობა ბატონია და ბატონს კი გადაწყვეტილების დასაბუთება არ ესაჭიროება, იმისთვის ისიც საკმაოა, რომ ბრძანებას გასცემს...

ქალაქის თავს ქალაქის საქმეების წარმართვაში, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ იმის არჩევანს უფრო მეტი სიფრთხილე და სერიოზობა უნდა ემცნეოდეს, ვიდრე ამას ეხლა ვხედავთ. საბჭოს უმრავლესობას და იმ საზოგადოებრივ წრეებს, რომელთა გავლენიანი ხმაც ქალაქის საქმეებს სწვდება, ვ. ჩერქეზიშვილის გარდაცვალების დღიდანვე ნათლად და გადაჭრით გამოენასკვათ თავში, ვინ უნდა იყოს არჩეული იმის ადგილას. თითქოს ქალაქის თავს მხოლოდ ის მოეთხოვებოდეს, რომ ენაწყლიანი იყოს და სიტყვა პახვილიო; არავის არ მოსდის ფიქრად—ანგარიში გაუწიოს განზრახულ კანდიდატის სხვა თვისებებს. ქალაქის საქმეები მრავალგვარ ინტერესებს დაიტანენ; ქალაქის თვითმმართველობა შეეხება არა მარტო ქუჩების მოკირწყვლას და განათებას; იგი გაცილებით უფრო ფართოა. ფაქტიურად განსვენებული ვ. ჩერქეზიშვილი მხოლოდ ეხლანდელი გამგეობის ყურმოჭრილი მოსამსახურე იყო და არა ტონის მიმცემი. ქალაქის საქმეთა მიმდინარეობა უფრო იმათზე იყო დამოკიდებული, ვისაც დღეს ქალაქის თავის ადგილზე ასარჩევად ასახელებენ, ვიდრე ჩერქეზიშვილზე. განზრახული კანდიდატები უცხო და უცნობნი არ არიან. ამიტომ პირდაპირ შეიძლება ვიკითხოთ, რა ღირსების მატარებელნი გახლავან და რას უნდა მოველოდეთ მათგან ტფილისის მცხოვრებელი?

ამ საკითხზე საერთო პასუხს ის გარემოება გვაძლევს, რომ ტფილისი წლითი-წლობით უფრო და უფრო მეტად ემსგავსება იმ ჯურის ქალაქს, რომელიც აუარებელ სიმდიდრეს შთანთქავს, ხოლო შექმნით კი არაფერს არა ჰქმნის. ამისგამო ტფილისში ცხოვრება თან და თან ძვირდება, ხოლო მშრომელ ხალხს კი საქმის შოვნა უძნელდება. ქალაქის მამებისა და მმართველობისაგან სიტყვათა შადრევანი უხვად გადმოსჩქეფს, მაგრამ საქმით კი ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგავთ მათ იმ მხრივ, საითკენაც საჭიროება მოითხოვს.

ქალაქის თავს დიდი გავლენა და დიდი მნიშვნელობა აქვს ქალაქის ცხოვრებაში. რატომ არავინ არ შეიწუხებს თავს და არ გააცნობს ქვეყანას, რის მოამაგენი არიან და რას გაგვიკეთებენ ქალაქის თავის ადგილისათვის განზრახული კანდიდატები? პრტყელ-პრტყელი სიტყვები და ზოგადი ფრაზები დემოკრატიზმისა და მშრომელ ხალხის ინტერესების შესახებ—გაცილებით უფრო ადვილი წარმოსათქმელია, ვიდრე პრაქტიკულად საქმიანობის ფხის გამოჩენა. მხოლოდ ენა-წყლიანობისათვის და მსუბუქ მჭევრ-მეტყველობისათვის შეუძლებელია ქალაქის თვითმმართველობის მესვეურებად არჩეულ იქმნენ ისეთი ადამიანები, რომელთაც საქმით თავისი ნიჭი და უნარი ჯერ არაფერში არ დაუნახვებიათ ქვეყნისათვის. ამიტომ ვიმეორებთ, უჩუმრად ამა თუ იმ კანდიდატის გაყვანა ქალაქის თავად—საკადრისი საქმე არ არის; საბჭოს უმრავლესობამ წინადვე უნდა დაასახელოს თავისი კანდიდატები და დაანახოს ქვეყანას იმათი ღირსება. უამისოდ არჩევნები ვიწრო ჯგუფური ხასიათისა იქნება და არჩეულ ქალაქის თავს კი ძლიერ ნაკლები ნდობა ექნება ტფილისის მცხოვრებთაგან.

## ნარკვევი
(ჟურნალ-გაზეთებიდან)

თუ როდისმე თვალ-ყური გიდევნებიათ, მზე რომ ჩასვლას იწყებს ჯერ მინდვრებიდან წამოჰკრეფავს ხოლმე სხივებს, მერე—გორაკებიდან, და ბოლოს მთის მწვერვალს სწყდება უკანასკნელი სხივი მზისა და ქვეყანას ბინდი ეფინება. ასე წამოიკრიფნენ რუსეთის ზედა პირიდან ხალხის მოძრაობისაგან გამოწვეული თავისუფლების სხივებიც. გამარჯვებულმა რეაქციამ ჯერ ხალხს ამოსდო პირში ლაგამი, მერე სახელმწიფო სათათბიროს და ახლა უნდა პრესასაც ააუგოს ანდერძი.

„ბეჭდვითი სიტყვის შესახებ აწ მოქმედ კანონებთან შედარებით სასამართლო უფრო სასტიკ ზომებს მიჰმართავსო".

ამ სიტყვებს ამოიკითხავთ რუსეთის ყველა გაზეთებში. როგორც ეტყობა მთავრობა კმაყოფილი არ არის იმ პირობებით, რა პირობებშიც ჩაყენებულია დღეს პრესსა და ჰსურს უარესად შეავიწროვოს აზრის თავისუფლად ფრენა, სიტყვის სამართლიანი ღაღადისი; ალბად ჰსურთ რომ უამისოდაც შევიწროებულ ადამიანის გულის-თქმას მდუღარე გადაასხან და სულთა-სწრაფვას ფრთები შეაჭრან. ნათქვამია „ყვავი რომ ვარდსა იპოვნის, თავი ბულბული ჰგონია" და აი, ხალხთა ურთიერთობის უმთავრესს ყვავილს—მეტყველებას, ბეჭდვითი სიტყვას, პრესსას—თავისი თვისის ბულბულად მგონებელნი მაღლიდან სახარ-

ლად დასჩხავიან და მთლად განადგურებას უპირებენ.

„მართალია დაწვრილებითი შინაარსი ახალის კანონ-პროექტისა ბეჭვდითი სიტყვის შესახებ ჯერ გამოქვეყნებული არ არისო—**ამბობს გაზეთი „რუსკია ვედომოსტი“**—მაგრამ ის კი დანამდვილებით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ბეჭდვითი სიტყვას დიდი და უფრო მეტი დევნა მოელის. კიდევ კარგია, რომ გადაჭრით გვეუბნევიან: ბეჭდვითი სიტყვის გამო აღძრული საქმეები სასამართლოს გადაეცემაო. მაგრამ განა ამით ახალი ამბავი გვითხრეს? განა ამით ემატება რამე პრესის უფლებებს, ან განა ამ თქმით საშუალება ეძლევა პრესას თავიდან აიცილოს დევნა ადმინისტრაციის მხრივ? დღესაც კანონის ძალით პრესსა მხოლოდ სასამართლოს უნდა ექვემდებარეობდეს, მაგრამ დღის სიცხადე და „რუსეთის ცხოვრების დღევანდელი პირობები ნათლად გვიჩვენებენ, რომ პრესსა ერთსა და იმავე დროს ექვემდებარება სასამართლოსაც და ადმინისტრაციასაც.

იმ განსაკუთრებულ უფლებებისა გამო, რომელიც ადმინისტრაციას ეძლევა „ქვეყნის დასამშვიდებლად“, პრესსა მთელ რუსეთში ადმინისტრაციის ბრძანებლობის ქვეშ არის. განა ცოტა ბრძანება მიუღიათ პრესსის ხელმძღვანელებს, ამა და ამ ცნობას ნუ დაჰბეჭდავთ, ამა და ამ წერილს ნუ მოათავსებთო. ხოლო თუ უკვე დაბეჭდილი არ მოსწონებიათ, განა ცოტა ჟურნალ-გაზეთობა აუკრძალავს ადმინისტრაციას. განა ცოტა რედაქტორი და თანამშრომელი დაუჯარიმებიათ ან და ციხეში ჩაუსვამთ? ოდესაში საქმე აქამდისაც კი მოვიდა, რომ იქაური ადმინისტრატორი ნებას არ აძლევდა გაზეთებს დაებეჭდათ სია პროგრესისტების კანდიდატთა. ამის შემდეგ რაღა დასაჯერებელია მთავრობის განცხადება, ამის შესახებ, რომ „ახალი კანონ-პროექტით პრესა მარტო სასამართლოს განაჩენს დაექვემდებარებაო!!..

გაზეთი „რუსკ. ვედ.“ ასაბუთებს რა თავისს ნათქვამს, განაგრძობს:

ახალი კანონ-პროექტი—პრესის მოსარჩლე კანონი კი არ არის არამედ კანონია პრესსის წინააღდეგ მიმართული.

რუსული პრესსა და საზოგადოება მალე ვერ ეღირსება ისეთ კანონს პრესის შესახებ რომლის მეოხებითაც შეძლება მოგვცეს თამამად დავგმოთ ხოლმე ყოველი სისაძაგლე ჩვენის ცხოვრებისაო.“

ამგვარად, უკანასკნელს სხივს თავისუფლებისას,—თავისუფალ უცენზურო პრესსას—კვლავ შავი დღე უთენდება და მგონი ისეთი დროც დაგვიდგეს, რომ ძველი ცენზორებიც კი მადლობით მოვიხსენიოთ!

ოღონდაც, რომ დრონი მეფობენ!..

## დეპეშები

პეტერბ. ტელეგრაფის სააგენტოსაგან

10 სექტემბერი.

### საზღვარ-გარედ

**თეირანი**. მეჩეთში, ლოცვის დროს, მოჰკლეს შუბტეიდი სეიდ-მოხამედ-ასსანი. მკვლელი შეიპყრეს.

**ფორტ-უენ.** (ინდიანა) ტრამვაის ვაგონების დაჯახების დროს მოკვდა ოცდაათი კაცი.

**ვენა**. ჩეხების სეიმს 17 სექტემბერს მოიწვევენ.

**სტამბოლი**. სესხის აღების შესახებ მოლაპარაკება საფრანგეთთან შესწყდა. გადასწყვიტეს ხავკი-ფაშა უკან გამოიწვიონ. მთავრობას სურს სესხი ინგლისისგან აიღოს.

**ბერლინი**. ხმა დადის რომ გერმანიის ლითონის ქარხნების პატრონების კავშირმა დაადგინა დაითხოვოს მუშათა 60 პროცენტი დაახლოვებით 420,000 კაცი იმ მიზნით, რომ ლითონზე მუშებმა გერმანიის გემთა აშენებელ მუშების გაფიცვას მხარი არ დაუჭირონ.

**ლონდონი**. რეიტერის სააგენტოს თეირანიდან ატყობინებენ, რომ დღეს გარდაიცვალა პრინც-რეგენტი.

**ლონდონი**. რეიტერის სააგენტო უარს ჰყოფს იმ ცნობებს, ვითომ ინგლისის ფინანსისტებს ხელი მოეწეროთ ოსმალეთის სესხის პირობაზე: „ინგლისი ყოველთვის ცდილობდა ოსმალეთი საფრანგეთთან შეთანხმებულიყოვო“.

### ჰაერში ფრენა.

**ტულა**. როსინსკი 40 მეტრის სიმაღლეზე აფრინდა ბლერიოს ჰაეროპლანით და გაჩერდა 2 წუთი. მობრუნების დროს ჰაეროპლანი ჩამოვარდა და დაილეწა. ავიატორს ფეხები დაუშავდა.

### რუსეთი

**ორენბურგი**. დაიწვა ტირლიანის ქარხანის ასი სახლი და ეკლესია.

**სარატოვი**. თავი მოიკლა კიევიდან მოსულმა კიევის სამოსამართლო პალატის პროკურორის ამხანაგმა—ოტტმა.

**რიაზანი**. სახელმწიფო სათათბიროს წევრად, აწ გარდაცვალებულ ვოლკონსკის მაგიერ, არჩეულ იქნა რანენბურგის მემამულე, ალექსანდრე დანიელისძე შუმახერი, ოქტომბრისტი. შუმახერი წინად ტაეროზო უფროსად ყოფილა.

**პეტერბურგი**. სახალხო განათლების სამინისტროს განზრახული აქვს 1911 წლისთვის გახსნას ოცი ახალი გიმნაზია, ცხრა რეალური სასწავლებელი, ოთხი სამასწავლებლო ინსტიტუტი, ექვსი საოსტატო სემინარია, ოთხი სკოლა სახელოსნო მოწაფეთათვის, ცხრა დაბალი სახელოსნო სკოლა, ერთი სახელოსნო სასწავლებელი. და ორი პროგიმნაზია—გიმნაზიებად გადაკეთოს.

**რიაზანი.** გუშინ, ორენბურგის გზაზე ლიანდაგიდან გადავარდა სამგზავრო—საქონლის მატარებელი. დაიმტვრა 5 ვაგონი, მოკვდა კონდუქტორი.

**გომელი**. მემამულე ბოჩკოვმა ერობას 50,000 მანეთად ღირებული მამული შესწირა,

### ხოლერა

**ოდესსა**. ხუთი დღის განმავლობაში შავი ჭირით ავად გახდა 7, მოკვდა 1.

**პეტერბურგი**. დღე ღამის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 39, მოკვდა 16, ავად არის 562.

ერთი კვირის განმავლობაში რიაზანის გუბერნიაში ხოლერით ავად გახდა 70, მოკვდა 46, პოლტავის გუბერნიაში ავად გახდა 30, მოკვდა 24, იშიმის მაზრაში ორი კვირის განმავლობაში ავად გახდა 23, მოკვდა 9.

## ახალი ამბები

### ტფილისი

✦ **ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში.** 9 სექტემბერს კრება ჰქონდათ ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობის წევრებს. გამგეობამ, სხვათა შორის, დაადგინა: 1) ქვიანას ბიბლიოთეკას მიეცეს უსასყიდლოდ ქართველ მწერლების სურათები, ღირებული ერთ თუმნად; 2) თიანეთის სამკითხველოს მიეცეს ერთის თუმნის წიგნები იმ თანხიდან, რომელიც საზოგადოებამ გადასდო განსვენებულ ნატო გაბუნია-ცაგარლის ხსოვნის აღსანიშნავად; ამასთანავე ეთხოვოს „თეატრი და ცხოვრება“-ს რედაქციას ხსენებულ სამკითხველოს თავისი ჟურნალი გაუგზავნოს, 3) საზოგადოების საქმის მწარმოებლად დანიშნულ იქმნეს ს. კაკაბაძე, 4) გომარეთის სკოლას გამოუწეროს საზოგადოების ხარჯით „ნაკადული“, 5) მიღებულ იქმნეს განცხადება ვ. სურგულაძისა, რომელმაც გამგეობის წევრობას თავი გაანება და სხ.

✦ **დამატებითი კატალოგი**. დავით კარიჭაშვილმა უკვე დაასრულა წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკის წიგნების დამატებითი კატალოგის შედგენა. საზოგადოების გამგეობა კატალოგის დაბეჭდვას მომავალ წლის იანვრიდან შეუდგება.

✦ **ხოლერიანთა რიცხვი**. სანიტარო სამკურნალო ინსპექტორის ცნობით, 9 სექტემბრის დილის 9 საათიდან 10 სექტემბრის დილის 9 საათამდე, ტფილისში ხოლერით ავად არავინ გამხდარა. ხოლერიანთა სამკურნალოში იყო 4 ავადმყოფი, არის—4.

✦ **ხოლერა ტფილისში**. პოლიციის ცნობით, 9 სექტემბერს ხოლერის ნიშნებით ავად გახდა და ხოლერიანთა სამკურნალოში გაგზავნეს ნუშა მიხეილის ასული ათოევისა, 47 წლისა. მისს ბინას შესაფერი დეზინფექცია გაუკეთეს.

✦ **საცდელი სროლა**. ვაცხადებთ მცხოვრებთა საყურადღებოდ, რომ დღეს მახათის მთაზე, ღრმა ღელესა, ქვემო ავჭალასა, გლდანსა, ნორიოსა, სოფელ ოლგინსკოიში და დიდ ლილოში ჯარის საცდელი სროლა მოჰხდება.

✦ **სტოლიპინის ცირკულიარი**. ტფ. გუბერნატორმა ამ დღეებში მიიღო პრემიერ მინისტრის სტოლიპინის მიერ ხელმოწერილი ცირკულიარი, რომელშიაც სთხოვს: წიგნის მაღაზიის პატრონებს აუკრძალეთ იმ ბროშურებისა და წიგნების გამოფენა მაღაზიის ფანჯრებზე, რომელნიც ნებადართულია, მაგრამ სქესობრივ საკითხს შეეხება და პირდაპირ პორნოგრაფიული ხასიათი აქვთო. მინისტრი ასეთს აღკრძალვას საჭიროდ სცნობს იმის გამო, რომ ასეთ ბროშურებს ფანჯრებზე დიდს ყურადღებას აქცევს ახალგაზდობა და ამით აფუჭებსო.

✦ **მამულის გაყიდვა უცხოელებზე.** „ნოვაია რეჩი“-ს სიტყვით, გერმანელი კაპიტალისტები სათარხნოში (გორის მაზრა) ვასილ ალექსანდრეს ძე თარხნიშვილის მამულს ყიდულობენ გერმანელების დასასახლებლად. კაპიტალისტები ათვალიერებენ აგრეთვე ახლო მდებარე სხვა მამულებსაც.

✦ **მამულის შესყიდვა.** ხანდაკის სოფლის საზოგადოებას (გორის მაზრა) ამ დღეებში საგლეხო ბანკისაგან შეუსყიდია 1000 დესეტინაზე მეტი მაღალაშვილისეული მამული.

✦ **ქართული საბავშვო ბალი.** ამ ორი წლის წინად ქართველ დედების ერთმა ჯგუფმა დაარსა საბავშვო ბალი, სადაც სხვა და სხვა საბავშო გასართობები იმართებოდა ხოლმე და რომელმაც ქართველ საზოგადოების შესაფერი ყურადღებაც დაიმსახურა, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზებისა გამო ეს ბალი დაიკეტა. ახლა როგორც დანამდვილებით შევიტყეთ, ქართველ ქალთა ჯგუფი კვლავ აპირებს ისევ გახსნას ეს ბალი. ბალი გაიხსნება პირველ ოქტომბრიდან.

✦ **ჟურნალისტთა საზოგადოება.** მოკლე ხანში ტფ. ჟურნალისტთა საზოგადოების წევრთა კრება მოჰხდება თანამდებობის კაცთა ასარჩევად. გამგეობის ახლანდელმა თავმჯდომარემ მ. ა. ჯაბარმა ამ თანამდებობაზე უარი განაცხადა—თავისუფალი დრო არა მაქვსო.

✦ **ფინანსთა მინისტრის უკან დაბრუნება.** გაზეთების სიტყვით, ფინანსთა მინისტრი საქართველოს სამხედრო გზით ტფილისისაკენ წამოსულა, მაგრამ მლეთიდან უცებ უკანვე გაბრუნებულა, რადგან უხერხულად უცვნია ტფილისში ჩამოსვლა კავკასიის ნამესტნიკის პეტერბურგში ყოფნის დროს.

✦ **ხოლერა ამიერ-კავკასიაში.** 4 და 4 სექტემბერს ქუთაისში ხოლერით ავად არავინ გამხდარა. 6 სექტემბერს ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1. ყარსში 7 და 8 სექტემბერს არავინ გამხდირა ავად, 9 სექტემბერს ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1. ყარსის ოლქში 3 სექტემბრიდან 6-დე ავად გახდა 5, გარდაიცვალა 3. ერევანში 4 და 5 სექტემბერს ავად გახდა 1, გარდაიცვალა 2. ერევნის გუბერნიაში 5 და 6 სექტემბერს ავად გახდა 20, გარდაიცვალა 5. განჯის გუბერნიაში 5 და6 სექტემბერს ავად გახდა 2, გარდაიცვალა 3. დაღესტანის ოლქში 6 სექტემბერს ავად გახდა 13, გარდაიცვალა 4. სუხუმში 27 აგვისტოდან 4 სექტემბრამდე ავად გახდა 2, გარდაიცვალა 2. ბაქოს საგრადონაჩალნიკოში 3 და 4 სექტემბერს ავად გახდა—9, გარდაიცვალა 2. ბაქოს გუბერნიაში 2 და 3 სექტემბერს ავად გახდა 17, გარდაიცვალა 9.

✦ **თათბირი ქართულ ეკლესიის შესახებ**. გაზეთების სიტყვით, ოქტომბერში უწ. სინოდს თათბირი ექმნება საქართველოს ეკლესიის საქმეებზე. ამ თათბირში მონაწილეობის მისაღებად მიწვეულია საქართველოს ექსარხოსი ინოკენტი.

✦ **მასწავლებლის გალახვა.** 9 სექტემბერს, დილის 9 საათზე, წყნეთის ქუჩაზე მიდიოდა ტფ. ქართულ გიმნაზიის რუსულ ენის მასწავლებელი დავით დიმიტრის ძე კილოსანიძე. ამ დროს მას წამოეწია ამავ გიმნაზიის მეშვიდე კლასის მოსწავლე რომანოზ ალექსანდრეს ძე ამირაჯიბი. ხელი ჰკრა მასწავლებელს, წააქცია და შემდეგ ცემა დაუწყო. კილოსანიძეს თვალი დაუშავდა.

✦ **თავის მოკვლის განზრახვა.** 9 სექტემბერს თავის მოკვლის განზრახვით რევოლვერი დაიტყა ტფ. სასულიერო სემინარიის მასწავლებლის ივან გარტინსკის 16 წლის შვილმა ვიკენტიმ, კომერციულ სასწავლებლის მეხუთე კლასის მოწაფემ. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს. მისი მდგომარეობა უნუგეშოა. თავის მოკვლის განზრახვის მიზეზი გამოურკვეველია.

✦ **თავის მოკვლა.** 9 სექტემბერს, დილის 11 საათზე, ამიერ კავკასიის სააქციზო სამმართველოს კანტროლიორმა ვლადიმერ ადოლფის ძე ოსტროვსკიმ თავის მოკვლის განზრახვით საწამლავი დალია. მოწამლული მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს, მაგრამ გზაზე გარდაიცვალა.

✦ **ექსარხოსის დაბრუნება.** საქართველოს ექსარხოსი ინოკენტი 9 სექტემბერს ბაქოდან ტფილისში დაბრუნდა.

✦ **ხარ-კამეჩის აღწერა**. 12 სექტემბერს დილით დესიმონოვის მოედანზე დანიშნულია ტფილისის ხარ-კამეჩის აღწერა.

✦ **პურის ნიხრი**. ტფ გუბერნატორის მიერ ახლად დამტკიცებულ ნიხრით, გირვანქა ფურნის პური ღირს: პირველის ხარისხისა—$4^1/_2$ კაპ., მეორე ხარისხისა—$3^1/_2$ კაპ., რუსული შავი პური—$2^1/_2$ კაპ, თონის პური—პირველის ხარისხისა—$4^1/_2$ კაპ., მეორე—4 კაპ. და მესამე—3 კაპ.

✦ **სოფლის მამასახლისის მოკვლა.** 29 აგვისტოს ოზურგეთის მაზრის სოფელ ამაღლების მამასახლისს თეოფილე ცერაძეს კინცე-

---

## რუსული მექრთამეობა,

### როგორც სოციალურ-ისტორიული მოვლენა

III *)

წინა წერილში ჩვენ მოკლედ აღვნიშნეთ, როგორის ხვეწნა-მუდარითა და „უქვეშევრდომილესის დამცირებით“ გამოითხოვდნენ ხოლმე თავად-აზნაურობა და მოხელენი იუარებელ ადგილ-მამულებსა და შინა-ყმებს. დავასაბუთოთ ეს ჩვენი ნათქვამი თვალსაჩინო და ისტორიულად უტყუარ მაგალითებით.

„ჩვენ კერძო სიმდიდრეთა ისტორია ძირითადად განირჩევა დასავლეთ სახელმწიფოთა ამ გვარსავე ისტორიიდანაო—ამბობს ცნობილი მკვლევარი ე. კარპოვიჩი. „იმ დროს, როდესაც ევროპის დიდ-კაცობა და მოხელენი მეფის სასახლეს იმიტომ ეტანებოდნენ, რომ ამ სასასახლისათვის მეტი ბრწყინვალება და ხავთი მიეცათ, რის გამოც ამ დიდებულთ აუარებელი ხარჯი მოსდიოდათ და მამა-პაპათაგან ნაანდერძევ ქონებიდანაც კი ხშირად ხელ-ცარიელები რჩებოდნენ, რუსეთში—პირიქით, სასახლე ჰკვებავდა აუარებელ მუქთა ხორათ, რომელნიც გაფაციცებით ეძებდნენ დროსა და შემთხვევას, რომ ხაზინისათვის რამე დაეცინცლათ და მით თავისი ვერანა მუცელი გაეძღოთო“—ამბობს იგივე კარპოვიჩი.

მართლადაც, რუსეთის თავად-აზნაურთა და უმაღლესს მოხელეთა საქციელი ამ მხრივ საარაკო და საზღაპროა! ამ დაცინცვლაში ერთი მეორეს სამარეს უთხრიდა და სულ იმას ელოდა: „ნეტა როდის იქმნება ჩემმა მეზობელმა კისერი მოიტეხოს და იმისი ქონება მე დამრჩესო“.

ძველად (და ხშირად ახლაც), როცა რომელიმე კარის კაცს ღალატს, ან ორგულობას შეამჩნევდნენ ხოლმე, რუსის მეფეები შორეულ ციმბირში აგზავნიდნენ ან სიკვდილითა სჯიდნენ ამ დასჯილ ორგულ კაცის ქონებაც ხაზინაზე გადადიოდა. ასეთი მოვლენა სწორედ აღდგომა იყო ხოლმე ლაქუცა და გაუმაძღარ კარის-კაცთათვის. გაიგებდნენ თუ არა, რომ ესა და ეს დიდებული, ან წარჩინებული მეფის რისხვის ქვეშ მოჰყვა და მის ქონებასაც კონფისკაცია უყვესო, მაშინვე ყორნებივით აირეოდნენ და „მუხლ მოდრეკით“ ევედრებოდნენ „ვისაც ჯერ არს“—ორგულის ქონება ჩვენ, თქვენ ყურ-მოჭრილ მონა-მოსამსახურეს, გვიბოძეო...

კონფისკაციის გამო, მთავრობამ სხვებს დაურიგა მამულები თავადთა: გოლიცინისა, ხილკოვისა, გაგარინისა, ტოლსტოისა, მენშიკოვისა და სხვ. ასე ისჯებოდნენ მეფის რისხვის დამსახურებელნი თავადნი, სამაგიეროდ ვისაც კი მეფე მოწყალების თვალით გადახედავდა ხოლმე, ოქრო-ვერცხლით ავსებდა. ეკატერინე მე-II დროს ორლოვებმა საჩუქრად მიიღეს 45,000 სული გლეხი, ზუბოვმა—მთელი ორი მაზრა, ვიაზემსკიმ—23,000 სული გლეხი და სხვ. ამგვარად, ეკატერინე II დროს კერძო პირებს ებოძათ და ეწყალობათ 800 ათასი სული გლეხი!

პავლე მეფის ტახტზე ასვლის დღეს დიდი ბედი ეწვიათ დიდებულთა და წარჩინებულთა. მარტო ერთმა კაცმა,—მეფის პირისფარეშმა (ლაქიამ) რაღაც სამსახურისთვის საჩუქრად მიიღო 24,606 დესიატინა მიწა მორშანის მაზრაში, 36 ათასი დესიატინა—კრუტიანდიაში და 5 ათასი დესიატინა—ტამბოვის გუბერნიაში. გარდა ამისა, ამავე ლაქიას ნება მიეცა მდ. ვოლგაზე თევზის ჭერისა, რაც წელიწადში 500 ათას მან. შემოსავილს აძლევდა.

თავად ვასილჩიკოვის გამოანგარიშებით, მეთვრამეტე საუკუნის განმავლობაში, მთავრობას ! ულ გაუბოძებია და გაუჩუქებია ერთი მილიონი და რვაასოთხი ათასი სული გლეხი!..

რაღა თქმა უნდა, რომ ისეთი უხვი საჩუქრები გარყვნიდა და გაათახსირებდა ზნეობითა, თუ გონებით ამ საჩუქრების მიმღებლებს და ფეხის მლოკავ ფინიად გადააქცევდა! ან კი რა საკვირველია! როდესაც ამოდენა სიმდიდრე მხოლოდ და მარტო ლაქიაობისა, ერთგულებისა და ლაქუცობისათვის ეძლეოდათ, კარის კაცნი სულ იმის ზრუნვაში იყვნენ, რომ ტახტის გული მოეგოთ, თითონ გამდიდრებულიყვნენ და მთელი ქვეყანა თუნდ მეწყერსაც ჩაეტანა!... და რაკი—ბედი ასე სწყალობდათ, რაკი ასე დაეჩვივნენ, თითონაც—ეს ნაწილაკნი მთავრობისა,—თავის ხელ ქვეითებსაც მონა-მორჩილებასა სთხოვდნენ და ფეხმორთხმით უსხდნენ რა გარშემო ხაზინის ზანდუკებს, მარჯვენა ჯიბიდან მარცხენაში ილაგებდნენ ხალხის ნაჭირნახულევს, ხალხის სიმდიდრეს!...

ვინ არ იცის, რა ულმერთოდ მდიდრდებოდნენ რუსეთის ისტორიაში ეგრედ წოდებულნი „ვრემენშჩიკები“ (ე. ი. ისინი, ვინც ბედისა თუ შემთხვევის მეოხებით მეფე-ქალთა ფავორიტები და მიჯნურები იყვნენ).

ბირონი უბრალო მეჯინიბე იყო, როდესაც უცხოეთიდან მოვიდა, მაგრამ მოკლე დროს იგი არამც თუ პირველი კაცი შეიქმნა სახელმწიფოში, არამედ დიდი სიმდიდრეც შეიძინა.

არა დააკლო-რა არც სახელ-განთქმულმა პატიომკინა! სულ რაღაც ორი წლის განმავლობაში—ამ დროს განმავლობაში როცა ეკატერინე II უიმისოდ ფეხს არსად არ გადასდგამდა ხოლმე—ამ დედოფალს მან გამოსტყუა საჩუქრად 37 ათასი სული გლეხი და 9 მილიონი მანათი!..

აი, ამ გვარად დაედო ფსიხოლოგიური საფუძველი რუსულ მექთამეობას და ხაზინის-მძარცველობას. იმ დროს, როდესაც ლაქიაობა-მლიქვნელობისათვის ერთი მუჭა დიდებულთა და წარჩინებულთა ყელამდე იმსებოდნენ სიმდიდრით და ჰკარგავდნენ კაცურ კაცობას, დიდი უმრავლესობა რუსეთის დაბალ-მოხელეთა იძულებული იყო მათის მაგალითისათვის მიებაძნა და თუ მას ორ-პირ ტყავს აძრობდნენ მისი უფროსნი, თითონ კიდევ ცხრაპირი ტყავი გაეძრო თავისზე დაბლა მდგომ ხალხისათვის, გლეხებისათვის...

ზევით, მაღლა, პატიომკინები და ბირონები უზომოდ მდიდრდებოდნენ, სარგებლობდნენ რა „წყალობითა და გულ კეთილობითა“ თავისს მფარველთა, ხოლო, ძირს, დაბლა, დანარჩენი მოხელე—გამგებლები პირდაპირ ხალხისგან იღებდნენ „შრომა-მზრუნველობისათვის“ შესაფერს „გასამრჯელოს“.

ენა ვერ მოსთვლის იმ ზარალს, ციფრები არ გვეყოფა იმის გამოსაანგარიშებლად, რა ზარალიც და რა სიმდიდრეც შთაინთქა და დაიღუპა რუსულის ბალი-ალობით, რუსულის მექრთამეობითა და „ერთგულებისათვის საჩუქრების“ გაბოძება—გაღებით! და...

დღესაც, როდესაც თვით მთავრობა შეუდგა ასის წლობით „დაუხვეტელ ბოსლების“ დახვეტას, როდესაც რევიზიას რევიზიაზე ნიშნავს და მექრთამე მოხელეებს ვითომდა სინსილას უწყობს, კვლავ გამოჰკრთის ძველებური ჩვეულება, ძველებური წესი და მიმართულება.

ვსთქვათ, ერთ რომელიმე დაწესებულებაში დააფრთხეს და დაიფარინეს მექრთამე ყვავ-ყორნები. ძალიან კარგი! მაგრამ ვისა სტოვებენ მათ მოადგილეთ? ისევ იმათ, ვინც მთავრობის აზრით **პოლიტიკურად კეთილ-საიმედონი** არიან. ეს მოვლენა დიდად საგულისხმოა.

ჩვენ დავინახეთ, რომ რუსული მექრთამეობა აღმოცენდა პოლიტიკურ ლაქიაობისა და ერთგულებისათვის მატერიალურ საჩუქართა გაღების ნიადაგზე. დავინახეთ, რომ ამ გვარმა ჩვეულებამ გარყვნა და გაათახსირა გულის თქმა მოხელეთა და ღრმად გაიდგა ფესვი იმ რწმენამ, რომ „ერთგულებისა და მლიქვნელობისათვის“ მოხელეს ნება აქვს ამა თუ იმ გზით მატერიალური ჯილდოც მიიღოსო.

სწორედ ეს არის ერთად ერთი მიზეზი რუსული მექრთამეობის მარადისობისა, უკვდავობისა!

უკვდავი და სამარადისოა რუსული მექრთამეობა, მაგრამ უკვდავი და სამარადისოა თვით მიზეზიც ამ მექრთამეობისა. ავიღოთ თუნდა დღევანდელი დღე და ვიკითხოთ; მექრთამე მოხელეთა გარეკისა და დაფრთხობის შემდეგ, ვისა რჩება ბურთი და მოედანი, თუნდა, მაგალითად, იპავე საინტენდანტოში? ვის აძლევს მთავრობა ამ უწყების იჯარებსა და სხვა საქმეთა მოწყობა-მოწეს-რიგების ნებას? ვისა და... „რუსის ხალხის კავშირის“ წევრებს!..

პატრიოტულ საზოგადოების სახელ განთქმული თავმჯდომარე ექიმი დუბროვინი, აი რასა სწერს „რუსკოე ზნამია“ ერთ-ერთ ნომერში: (12 იანვარი, 1910 წ.).

„მთავრობა მოწადინებულია, რომ საინტენდანტო იჯარები და საქმეები ჩვენის კავშირის წევრებს ჩაუვარდეს ხელში და ამიტომ ამ კავშირის ყველა განყოფილებებს ვურჩევ შუამდგომლობა აღძრან მთავრობის წინაშე, რაც შეიძლება მალე გადაეცეთ ეს საქმეები. ასეთი შუამდგომლობა **მთავრობის სურვილის განხორციელება** იქნება და, აბა, ყოჩაღად მოიქეცითო და სხვა“.

ჩვენ განგებ აღვნიშნეთ დუბროვინის ეს „მანიფესტი“. ამითი უნდა დაგვენახვებინა, რომ მთავრობა არა

*) იხ. „სახ. გაზ.“ N 100.

ლარიაში შეჰკრიან ყაჩაღად გავარდნილი სიმონ დოლიძე, სიმონ დამელქის ბურჭულაძენი ტყვიით მოუკლავთ. მამასახლისი იმიტომ მოუკლავთ, რომ 1909 წელს მას პოლიციისთვის ხელი შეუწყვია ექიმ ტრიანტაფილიდისის მკვლელის პროკოფი დოლიძის შეპყრობაში.

◆ **სამრევლო სკოლების მასწავლებელნი.** როგორც მკითხველთ იციან უმაღლესმა მთავრობამ წელს 11.000 მანეთი გადასდო საქართველოს საექსარხოსოს ნასწავლებელთათვის ჯამაგირის მოსამატებლად. ამავე ფულის გასანაწილებლად უკვე შესდგა საგანგებო კომისია, რომელშიაც, სხვათა შორის შედიან სამრევლო სკოლების საეპარქიო მეთვალყურე ა. ი. ოდოევი და სასწავლებელთა საბჭოს წევრი ს. ა. მურახოვსკი.

◆ **ქვაშვეთის ეკლესია.** უკვე დაამთავრეს ქვაშვეთის ეკლესიის ახალი შენობა. კურთხევა განზრახულია ოქტომბრის პირველ რიცხვებში.

◆ **საჩაიების დახურვა**. რადგან ტფილისში ხოლერამ იკლო, ქალაქის გამგეობამ ყველა უფასო საჩაიე დახურა.

◆ ტფ. მაზრის უმფროსმა ბ-ნმა შანშიევმა სამსახურს თავი დაანება. მის თანამდებობის აღსრულებას შეუდგა ბ-ნი გლადზიმირსკი.

◆ 9 სექტემბერს, საერთო ჩხრეკა-დაპატიმრების დროს პოლიციამ ტფილისში შეიპყრო 9 უპასპორტო.

◆ 9 სექტემბერს კოჯრის გზაზე იპოვეს მკვდარი ორი-სამი დღის ბავშვის გვამი, გვამი მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს.

◆ 9 სექტემბერს „ხლებნი" მოედანზე უეცრად გარდაიცვალა აბრამ ხაიმის ძე კრიჟევსკი, 27 წლისა. გვამი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

## დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

**სიღნაღი.** ქიზიყის ყველა სოფლებში შედგენილ იქმნა სასოფლო საზოგადოებათა განაჩენი რკინის გზის საჭიროებისთვის გადადებულ მიწებში აქციების მიღების შესახებ. კომისიამ გაიარა იორის მინდორი, სადაც 10 და 11 სექტემბრისათვის სოფ. კაჭრეთში მოწვეულია ყველა მონაწილე და მოსაკუთრე მელაანისა, კაჭრეთისა, ფხოველისა, შიბლიანისა, ფანიანისა, ქოდალოსა და არაშენდას მიწებისა. 12 სექტემბერს კომისია დაასრულებს მუშაობას ყანდაურასა და კაკაბეთში 13 სექტემბერს გადმოვა ტფილისის მაზრაში. **დიმიტრი ჩოლოყაშვილი.**

## ხმა პროვინციიდამ

დიდი ხანია ნათქვამია ევროპიელ ბურბონებზე: ისტორიიდან ვერც არა შეიგნეს რა და ვერც არა დაიხსომეს რაო. ეს სიტყვები სრულის საფუძვლიანობით შეიძლება ითქვას ბევრს ჩვენებურ კეთილშობილთა შესახებაც. ყველას კარგად ახსოვს, როგორც შეხვდა დიდი უმრავლესობა ჩვენი თავად-აზნაურობისა განმათავისუფლებელ მოძრაობას. მთელი საუკუნის განმავლობაში უაზროდ, უგუნურად გატარებულ სიცოცხლეს ძველებური, მამაპაპური ვაჟკაცობაც კი სრულიად მოესპო ამ უმრავლესობას. ორიოდ შეიარაღებულ კაცის დანახვაზე თავზარი ეცემოდა და, რომელ კლდეზე გადავარდნილიყო, აღარ იცოდა. თავგასული უმეცრება მას დიდ რამედ ელანდებოდა და ყოველ მის ბრძანებას კანკალ-ცახცახით ემორჩილებოდა. ეს ამბები ხდებოდა მოძრაობის დროსა. მას აქეთ სულ ხუთიოდ წელიწადია გასული. შეჩერებულ მოძრაობის მაგივრად. მთავრობის რეაქციამ გაშალა თავისი შავი ფთები. მოხსენებულმა უმრავლესობამ ამ რეაქციით ზურგი გაიმაგრა, ნაწნევ-ნანახი ყველაფერი დაივიწყა და დღეს თვისი ძველი ავზნეობის აღდგენას ეპოტინება. როცა ამნაირად იქცევა რომელიმე გაუნათლებელი კუდა-აზნაურა, ეს საკვირველი არ არის. რა უნდა მოსთხოვო იმისთანა კაცუნას, რომელსაც გონივრული ყოფა-ქცევა სიზმრადაც არა სჩვენებია არას დროს. საკვირველი და სავალალო ისეთი ადამიანია, რომელსაც უმაღლესი სწავლა-განათლება მიუღია და აზრითა და მოქმედებით მოხსენებულ კუდა-აზნაურსაც კი ჩამორჩენია უკან.

გორის მაზრაში, სხვა უბადრუკ სოფლებთა შორის, არის ერთი სოფელიცა, რომელსაც სახელად ქორდი ჰქვიან. როგორც დიდი უმრავლესობა ჩვენებურ სოფლებისა, ისე ქორდიც ღარიბია და გაუნათლებელი. თავით-ფეხებამდე საშინელ უსუფთაობაშია ჩაფლული. მთელი სიცოცხლე მისი ათასნაირ მავნე ცრუმორწმუნეობით არის სავსე. დიდი ხანი არ არის გასული მას აქეთ, რაც თითქმის ყველა აქაურ ოჯახში მკითხავი და ქადაგი თითო მაინც იმყოფებოდა. კაცი, თუ განზრახ არ წავიდა ამ სოფელში, ვერსაიდან ვერ მოხვდება მას. არის მიკრუნჩხულ-მივარდნილი თავისათვის და მნახველზე ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქო იგი კაცსაც დავიწყებია და ღმერთსაცაო. ამისთანა სოფელში ერთი განათლებული ადამიანის გაჩენაც კი დიდ ღვთის წყალობათ უნდა ჩაითვალოს. განათლებული კაცი, თუ კი ის ნამდვილად განათლებული კაცია, სწორედ ანთებულ ლამპრად ევლინება ჩვენებურ სოფლების წყვდიადით მოცულ ცხოვრებასა. და ესეთი ლამპარი ამ ხუთიოდე წლის წინად მოევლინა უბადრუკ ქორდსაცა. აქ დასახლდა ახალგაზდა აზნაურიშვილი, სტუდენტი უნივერსიტეტისა, გულ-კეთილი, თავაზიანი, თავმდაბალი. ხშირად აგროვებდა გლეხის პატარა გოგო-ბიჭებს, ასწავლიდა წერა-კითხვას, უკითხავდა წიგნებს, უხსნიდა ბუნების სხვადა-სხვა მოვლენათა. არც ამათი დედ-მამისათვის იშურებდა კეთილ გულსა, ჭკვიანურ სიტყვა-დარიგებას, სადაც შესაძლო იყო, საქმიან დახმარებასაცა. რომ გენახათ მაშინდელი მოქმედებანი ამ ყმაწვილისა, დარწმუნებული ვარ, გულში სიამოვნების ნათელი ჩაგიდგებოდათ და აღფრთოვანებულის გრძნობით წამოიძახებდით: აი, ნამდვილი კეთილშობილი, კეთილშობილი არა მხოლოდ შთამომავლობითა, არამედ სულითა და გონებითაცაო. ჩვენ კი ამას ვიტყოდით, მაგრამ ქორდელი გლეხი კი, ვგონებ, თანაზიარი არ გაუხდებოდა ამ ჩვენ აღტაცებას. მოგეხსენებათ ჩვენი გლეხის სულის მდგომარეობა, შექმნილი მრავალ საუკუნეთა ზეგავლენით. ყოველი მათგანი უფრო მაცხოვრის სახელოვან მოციქულის შთამომავალსა ჰგავს, ვიდრე გულუბრყვილო ადამ და ევას. თვითვეულ გლეხში ზის ურწმუნო თომა, რომელიც ერთნაირის ეჭვის თვალით უცქერის ბოროტებასაც და სიკეთესაცა, მომეტებულად კი, უფრო უკანასკნელსა. ხოლო მაშინ კი, როდესაც ამ სიკეთის ჩამდენი თავად-აზნაურია, გლეხკაცის გული კუსავით იკრუნჩხება და, ნაცვლად ნდობისა და მადლობისა, საფრთხილეს აორკეცებს თავის გარეშემო. ქორდელი გლეხიც სწორედ ამგვარად შესცქეროდა ახალგაზდა აზნაურს და მის კაცთ-მოყვარულ საზოგადო მოქმედებასა. და, რამდენადაც ეს მოქმედება საყურადღებო ხდებოდა, იმდენად ქორდელი გლეხიც სიფრთხილეს უმატებდა და მოუსვენრად ეუბნებოდა თავის თავს: გაფთხილდი, ბიჭო, გაფთხილდი!.. აქ რაღაც ამბავიაო!!.

—

გავიდა რამდენიმე წელიწადი. ახალგაზდა კაცმა უნივერსიტეტი გაათავა, ზედ მიაყოლა პოლიტეხნიკუმიც, დაბრუნდა ქორდში და აქ შინაურულად მოიკალათა. დაიდგა ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მის წინ ბაღის გაშენებას მიჰყო ხელი. ბაღის ბოლოსთან მდებარეობდა სასოფლო მოედანი. ამ მოედნის აღმოსავლეთის მხარეს ამოსულია რამდენიმე მუხა, რომელთა ჩრდილ ქვეშ, ხავერდივით ამწვანებულ ბალახზე, ხშირად დაცქრიალებს ხოლმე სასიამოვნო გრილი, წმინდა ნიავი. უფრო მოზდილ მუხაზე მილურსმულია პატარა ფიცრული თახჩა, რომელშიაც ასვენია ხატი მაცხოვრისა, რის გამოც ამ ადგილს კვირაცხოვლის მოედანიცა ჰქვიან. აღდგომის სწორზე, კვირა დღეს, როგორც ქორდელები, ისე ბევრი ახლო მდებარე სოფლის მცხოვრებელნი, იკრიფებიან ხოლმე ამ მოედანზე და, შემდეგ პარაკლისისა, მართავენ ქეიფობას, ცეკვას, ლხინსა. ასე მომდინარეობს უხსოვარ დროიდან. სცხოვრობენ ქორდში ოთხმოცი წლის ბერიკაცები და როგორც ამათ, ისე სხვებს არავის ახსოვთ, არავის გაუგონია, რომ კვირაცხოვლის მოედნისთვის ვისმეს ხელი ეხლოს, რომელისამე ავი კაცის სიხარბეს მისი წაგლეჯა, დაჩემება მოენდომებინოს. ამისთანა ადგილების დაცვა ანდერძია მამა პაპისა და ეს ანდერძი, მტკიცედ დაცული, გადადის ერთი თაობიდან მეორეზე. როდესაც ამისთანა ანდერძს სოფლის სიკეთე და სარგებლობაც ემატება, მაშინ—ჭეშმარიტად—ნამდვილი მგელკაცა უნდა იყვეს ის ორფეხი, რომელიც მისკენ ხარბის თვალით დაიწყებს ცქერასა. ასე ვფიქრობთ ჩვენ, ხოლო ჩვენი ნაცნობი განათლებული აზნაური სრულიად სხვა ფიქრს მისცემოდა. „ჩემი ბაღის ბოლოზე ლობე უშნო, მიხვეულ-მოხვეული გამოვა, თუ ცოტაოდენი რამ არ ჩამოვგლიჯე კვირაცხოვლის მოედანსაო..." ეს ფიქრი მალე საქმედ გადააქცია. ერთ დაწყევლილ დილას კვირაცხოვლის მოედანზე მარგილები გაამწკრივა, ლობე გაავლო და ასიოდე საჟენი საერთო, სასოფლო ადგილისა თავის ბაღს შეუმატა. ურწმუნო თომამ გადაიხარხარა... ხარხარებდა და თანაც მწარე ღიმილით ამბობდა: ვის უნდახავს, შვილოსან, მაგათი უანგარო კეთილ-კეთილობა, მაგათი უეშმაკო კაი-კაცობაო...

განმათავისუფლებელი მოძრაობა ჯერ კიდევ ბევრს ახსოვდა. შეიკრიბნენ გლეხები ერთად, ეცნენ ლობეს, საჩქაროზე აშალეს და გადაუყარეს პატრონს ბაღში. „არიქა, გვიშველეთ „ბუნტიო!".. შესძახა განათლებულმა აზნაურმა და თავისი ძმა, გიმნაზიის უფროსი კლასის მოსწავლე, აფრინა მამასახლისთან. მათი ბრწყინვალება იმავე წამს შეიარაღდა, ცხენს და გაჰქუსლა „ბუნტოვჩიკებისაკენ". გლეხობაც ჯერ არ დაშლილიყო. არც გამოკითხვა, არც გამოძიება!. როგორც მშიერი მგელი ცხვირს ფარას, ისე დაერია უბედურ ხალხსა. გამეტებით, შეუბრალებლად დაუშინა მსხვილი მათრახი თავსა და პირში.. მალე მოეშველა მწერალიც.. კუდა აზნაურა, დიდებული მამის ღირსეული შვილი. სცემდნენ, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, სცემდნენ იქამომდე, სინამ მათრახი არ დაუწყდათ, სინამ არ დაიღალნენ. რამდენიმე კაცი სისხლით მოთხუპნეს, თავ-პირი დაამტვრიეს; მკლავები, მკერდი და ბეჭები დაულილავეს. ბოლოს რვა გლეხსა სტაცეს ხელი და, როგორც „ბუნტოვშჩიკები" გაისტუმრეს სატუსაღოში.

ახლა ვკითხოთ ჩვენს, უმაღლეს სწავლა-განათლებით დამშვენებულ, ვაჟბატონსა:—რათ ჩაიდინა აღწერილი მგელკაცური სახარბე და შემდეგ—რათ ამოაჟლეტინა უსამართლო მოსამართლეებს უბედური გლეხები? ნუ თუ ოროლი უმაღლესი სასწავლებელი იმიტომ გაათავა, რომ ასიოდე საჟენი მიწის გულისათვის ალამაჰმადხანად მოვლინებოდა თავის დავრდომილ, დაჩაგრულ, უმეცარ მეზობლებსა? ან, რას ნიშნავდა ეს ასოდე ნაბიჯი მიწა მის ჩინებულ მამულთან, მის საუცხოვო ჯამაგირთან? ნუ თუ ვერა გრძნობდა, რომ ამგვარის მოქმედებით მეტად სახიფათო კვალს ავლებდა გლეხკაცის სულში, რომელშიაც არასდროს აღარ წაიშლებოდა ეს კვალი? წოდებრივი განსხვავება და ამ განსხვავებაზე აღმოცენებული გრძნობანი ხომ ისედაც ჯოჯოხეთია ჩვენი ეროვნებისათვის და რაღა ანთებული მუგუზლების მიმატება უნდოდა ამ ჯოჯოხეთსა?- ჩვენ, ქართველები, რომ ასე ცოტანი არ ვიყვეთ, ან კიდევ აწინდელი გარემოებანი ასე სახიფათოდ რომ არ იყვნენ ჩვენ წინააღმდეგ მომართულნი, მაშინ წოდებათა შორის ბრძოლა, ეჭვი არ უნდა, ეროვნების საკეთილდღეოდ დასრულდებოდა; ხოლო ამ ჟამად კი, როცა დარაზმული მტერი ყოველ ნაბიჯზე ორმოს გვითხრის ფეხ ქვეშა, გამწვავება მოხსენებული ბრძოლისა დამღუპველი იქნება ჩვენი ქვეყნისა. ნეტარხსენებულმა, უკვდავმა ილიამ თავის შესანიშნავ „ოთარაანთ ქვრივში" სწორედ რომ გენიოსურის ხელოვნებით დაგვიხატა ის უფსკრული, რომელიც ჟამთავითარების წყალობით გაჩენილა თავად-აზნაურთა და გლეხებ შორის. და აქვე უმთავრეს ეროვნულ მიზნად ამ უფსკრულის ამოვსება დაგვისახა. საუბედუროდ, როგორც თითქმის ყოველი წინასწარმეტყველის ხმა, ისე განსვენებულ ილიასიც, რჩება დღევანდლამდე „უდაბნოსა შინა მღაღადებელ ხმათა", ამ მიზნის შეგნება და მის სასარგებლოდ მოღვაწეობა უპირველესად განათლებულ კეთილშობილთა მოვალეობას შეადგენს. მაგრამ ხშირად სწორეთ ესენი, თითქო განზრახ, ყოველ ღონისძიებას ხმარობენ, რომ მოხსენებული უფსკრული უფრო ჩაღრმავონ, მისი ნაპირები უფრო განზე გასწიონ. ამ გვარი ვაჟბატონები მოურიდებლად ჰყოფენ გლეხის გულში ხელებსა და იქ ბატონყმობის დროიდან დარჩენილ ჭრილობათ აახლებენ, ამწვავებენ. ასეთი უგუნური მტერია სამშობლო ქვეყნისა, მოღალატეა ეროვნებისა.

ნასწავლი კაცი ლამპარიაო სოფლისა!. დიახ, ჩემო ბატონო, მაგრამ ლამპარიც არის და ლამპარიც.. გამურული, ჭვარტლიანი ლამპარი რომ სრულებით არ იყოს, ის სჯობიან!.

**პროვინციელი.**

## „ფაქტიური" რედაქტორები

როგორც გაზეთები იუწყებოდნენ, რუსეთში განზრახვა აქვთ კვლავ ახალი მარწუხი მოუმატონ თავისუფალ აზრისა და წერის დევნას.

ეს მარწუხი—ახალის პროექტით—**„ფაქტიურ რედაქტორთა პასუხისმგებლობაა."**

ამ პროექტის მიხედვით, ცენზურა, თუ ადმინისტრაცია, არა კმაყოფილდება მხოლოდ იმ ოფიციალურ პიროვნების დასჯით, რომელსაც მანვე მიანიჭა გაზეთის გამოცემის უფლება და რომელიც **პასუხისმგებელ** რედაქტორ-გამომცემლად ირიცხება.

პროექტი იმის ძიებაში შედის, თუ ვინ არის ნამდვილი, ფაქტიური, რედაქტორი ამა თუ იმ გაზეთისა.

საკვირველია ასეთი მუყაითი, თავგამოდებითი ძებნა **ნამდვილის** დამნაშავისა!..

დღევანდლამდე გაბატონებული კანონი ბეჭდვითი სიტყვის დევნისა, რომელიც ურიცხვად ისტუმრებს ციხეში, ციმბირად, თუ კატორგაში, კვლავ ძიებაშია უარესი და ულმესი საშუალებანი გამონახოს ცოცხალ აზრის ძირითად აღმოსაფხვრელად...

ნამდვილი დამნაშავე—პროექტის აზრით—ფაქტიური რედაქტორია.

მაგრამ, ვინ არის ფაქტიური რედაქტორი რომელიმე გაზეთისა? ეს მეტად რთული საკითხია და არც ისე ადვილად მისაგნებია, როგორც ახალ პროექტის ავტორებსა ჰგონიათ.

ვინმე „B. P."-ს რამდენიმე ნიმუში: მოჰყავს რუსეთის ცხოვრებიდან; ჟურნალ „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის" ოფიციალურ რედაქტორად კრაევსკი ითვლებოდა, თუმცა ყველამ კარგად იცოდა, რომ ფაქტიურ რედაქტორად ნეკრასოვი იყო. მაშინ რომ ახალი პროექტით ეხელმძღვანელათ, ვინ უნდა დაესაჯათ, ნეკრასოვი, თუ რედაქციის ყველა წევრები: სალტიკოვი, ელისეევი, მიხაილოვსკი და სხ.? ვინ უნდა მიეცათ პასუხისგებაში, ნეკრასოვი, რომელიც ეთანხმებოდა სალტიკოვის მიერ დაწერილ წერილს, ელისეევი, რომელმაც სტამბაში გადასცა წერილი, თუ მიხაილოვსკი, რომელიც რედაქციას უკეთებდა მას?.

ვინ არის ფაქტიური რედაქტორი გაზეთ „როსსიისა", რომელიც მთავრობის ორგანოდ ითვლება, და სამართლიანადაც, ეს თვით გაზეთსაც რამდენჯერმე უღიარებია. „როსსიის" ოფიციალური რედაქტორი ქივოტოვსკია. მაგრამ ვინ უნდა ჩავთვალოთ მის ნამდვილ (ფაქტიურ) რედაქტორად ბ-ნი გურლიანდი და ბ-ნი გურევი, თუ ყველა ისინი, ვინც ეხმარება ამ მთავრობის „კერძო გამოცემას?"

ან და, განა გურლიანდი და გურევი, ამ შემთხვევაში, იმავე ოფიცალურ რედაქტორებად არ გამოდიან, რადგანაც იგინი ათავსებენ მხოლოდ იმას, რასაც მათ ჩასძახიან ზემოდან? ბოლოს და ბოლოს გაზ. „როსსიის" ფაქტიურ რედაქტორად თვითონ სტოლიპინი აღმოჩნდება... მაშ, პასუხისმგებლობაც მას ეკისრება.

თუ ახალი პროექტი უდღეო არ გამოდგა და მართლა სასიცოცხლო

---

მოლალატობს „ძველისა გზასა" და თუ დღეს თვალსაჩინოდ გაუმაძღარნი და წეს-გადასული მექრთამეები დაიფრინა, ეს იმას კი არა ნიშნავს, რომ ამით მექრთამეობასაც ბოლო ელება. არა! ეს იმას ნიშნავს, რომ შავრაზმულ მოქმედებისა, მყვირალა პატრიოტიზმისა და ქუჩურ ლაქიაობისათვის, მთავრობას ჰსურს „რუს-ხალხის კავშირს" საკვები გაუჩინოს და თუ ხაზინის ზანდუკების თავზე ობობები გასრისა, ახლა წურბელები მოჰკიდოს საბრალო რუსის გლეხის ცემა-ტყეპით დასიებულ სხეულს.

ეს იმას ნიშნავს, რომ რუსულ მექრთამეობის საძირკველი კვლავ შეურყეველი რჩება; ხოლო ეს საძირკველი კი,—როგორც მკითხველი ხედავდა,—გახლავთ მექრთამეობის და პოლიტიკურად კეთილ-საიმედო მოხელის ხელიხელ გადახვეული სვლელობა. ვიმეორებ, სწორედ ეს განუწყვეტელი კავშირი მექრთამეობისა და „პოლიტიკურად კეთილ-საიმედო კაცებისა" არის საფუძველი ხალხის სიმდიდრის განადგურებისა.

მთავრობა ყოველთვის კარგად ხედავდა მოხელეთა მექრთამეობას, ხედავდა, რომ დიდის გულ-მოდგინეობით აცალიერებდნენ სახელმწიფო ზანდუკებს, მაგრამ იგი ყოველთვის ურიგდებოდა ამ ბოროტ-მოქმედებას, ვინაიდან ესევე მოხელენი იყვნენ მისის ძლიერების დამცველი, მისი ყურ-მოჭრილი ყმები და მის მისწრაფება-მიმართულების ბრმა მატარებელნი.

ამგვარად, ჩვენ დავინახეთ, რომ მექრთამეობა ნაყოფია რუსეთის ცხოვრებისაგან შექმნილ პირობებისა, იგი ისტორიული სენია და მჭიდროდ არის შეკავშირებული იმ წეს-წყობილებასთან, რომელსაც რუსეთი იცდიდა და განიცდის დღესაც.

რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ მექრთამეობის კავშირი რუსეთის მთელ სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრებასთან, მოკლედ შევეხები მექრთამეობის ერთ პოლიტიკურ მხარესაც.

არამც თუ რუსეთში, არამედ უფრო განათლებულ ქვეყნებშიაც კი, ცხოვრება ყოველთვის წინ მიდის კანონმდებლობაზე. ცხოვრების ძალნი უხილავად ფართოვდებიან, იზრდებიან. კანონი ჩაქჩაქით მისდევს უკან, ვერც მოსწევნია ფრთა გაშლილ ცხოვრებას და არც უნდა რომ ხელიდან გაუშვას იგი. ამიტომ ძველი კალაპოტი კანონებისა მაგრად ჩაჰბღაუჭებია ხალხთა ცხოვრების უხილავ, ჯერედ, თუ შეიძლება ასე ითქვას, „დაუკანონებელ" მისწრაფებათ და მარწუხივით სწურავს მათ, თავის ბრჭყალებიდან არ უშვებს... ხდება ერთგვარი ბრძოლა, ერთგვარი შეჯახება და ბოლოს, რასაკვირველია, ცხოვრება იმარჯვებს, ამსხვრევს კანონის კალაპოტს, ძველ ფორმებს და ახლად ყალიბდება, ახალ კანონებს იძენს და ამყარებს.

რუსეთის ცხოვრებამაც დიდი ხანია ფრთა გაშალა, გაიზარდა, გაფართოვდა. კანონები კი! როგორც ბავშვის პერანგი დიდს აღარ არგებს, ისე რუსეთის აწ არსებული კანონები ვეღარა სწვდება რუსეთის ხალხოსნურ ცხოვრებას. რუსეთის ცხოვრება ათას ქცევაზე, ათას დღიურზე გაიშალა; ძველ კანონებს კი უნდა, რომ ეს ცხოვრება მუჭაში დაიჭიროს და ერთ ადგილას დააბას...

აი, აქ იწყება ის ტრაგი-კომიკური ურთიერთობა ცხოვრებასა და კანონებს შორის, რომლის შუამავლად და მომრიგებლად ხდება—არ გაგიკვირდეთ კი—ქრთამი და მექრთამეობა!...

რუსეთის ხალხის ბატონ-პატრონმა-მოხელეებმა-მთელის თავის ძლიერებითა და სისასტიკით რომ მოინდომონ რუსეთის კანონების აღსრულება, ე. ი. ხანდისხან არსებულ კანონებს გვერდი რომ არ აუარონ და სხვა და სხვა ახსნა-განმარტება არ მისცენ ხოლმე, ყველას სული ამოგვხდებოდა და ხელის განძრევა არ შეგვეძლებოდა. მთელი ჩვენი ცხოვრება ერთ წერტილზე გაიყინებოდა და ამოსუნთქვის ნებაც აღარ გვექნებოდა. მაგრამ აქ თავს წამოჰყოფს ხოლმე ქრთამი... მექრთამეობა და ყოვლის შემძლებელი მოხელეც ისე შეატრიალებს, ისე განმარტავს ხოლმე კანონს, როგორცა ჰსურს და გაჭირვებულ კაცს, ცოტა არ იყოს, გზა-გასავალიც ეძლევა. საკმარისია მოვიგონოთ „ებრაელთა საკითხი", რომელიც მექრთამე პოლიციის შეოხებით ცოტათი მაინც იბრუნებს გამწარებულ ყოფნა-სიცოცხლეს.

ყოველი მრეწველი, ყოველი ვაჭარი, თუ ხელოსანი, გინდა საზოგადო მოღვაწეც, დაგვემოწმება და ათას მაგალითს მოიყვანს, თუ ქრთამის შეოხებით როგორ გაიკვლია გზა ათასის ფორმალისტებით სავსე რუსულ დაწესებულებაში და როგორ გაარღვია კანონისაგან „კანონიერად" აგებული ზღუდენი.

კიევის ინტენდანტთაგან გამართული „იტალიანური გაფიცვა" ხომ თვალსაჩინო და საგულისხმო მოვლენაა მექრთამეობის ძლიერების დასამტკიცებლად.

რევიზიის შემდეგ, გულ-წატკენმა ინტენდანტებმა გაიფიქრეს: „რახან აგრეა, ვაჟბატონებო, ჩვენ გაჩვენებთ რა კანონებიცა გვქონდა; შეიძლება თუ არა ამ კანონებს მიხედვით რაიმე გაკეთდესო". გამოჩხრიკეს დახავსებულ—დაბნელებული წიგნები კანონისა, მტვერი გადასწმინდეს, გაშალეს და დაუწყეს შიგ კირკიტი...

ერთ ფეხსაც აღარა სდგამდნენ „უკანონოდ", ჩხირსაც არ აბრუნებდნენ „უკანონოდ" და, წარმოიდგინეთ, რომ, არამც თუ „ფოდრაჩიკები" არამედ თვით მოხელენიც ძალზე შესწუხდნენ და მთელმა ქვეყანამ გმინვა და ყაყანი დაიწყო.

დახავსებულმა კანონებმა ყველას სული ამოხადა, ცხოვრება კი თავისას მოითხოვდა!

ეს,—სულ გუშინდელი ამბავი,—ნათელ ჰყოფს, რომ იმ ქვეყანაში, სადაც ჩამორჩენილი წეს-წყობილებაა, სადაც ძველი, დახავსებული კანონებია, ერთად—ერთი „თავისუფალი მოაზრე" ქრთამია, დიახ, ქრთამი!..

თქმა არ უნდა, რომ როგორც ქრთამის ამღები, ისე გამღები—ორივე პოლიტიკურად იხრწნებიან, მაგრამ ამის შესახებ დაე, იმან იქადაგოს, ვისაც მარტო ლაყბობა უყვარს და მე კი დარწმუნებული ვარ, რუსის დახავსებულ კანონებს მარტო ქრთამით, თუ უვლის ჰვერდს რუსეთის უფლება მოკლებული მცხოვრები და ეს არის კიდეც უმთავრესი მიზეზი რუსულ მექრთამეობის დღეგრძელობისა.

**ი.—ცანი.**

გზა მიეცა, ბევრი ასეთი კურიოზები მოხდება ფაქტიურ რედაქტორების ამორჩენასა და დევნაში. (რ. ვ.)

# მოწერილი ამბები

**ს. ზედა-საქარა.** (შორაპნის მაზრა) წლევანდელმა გვალვიანმა ზაფხულმა პირწმინდათ ხულ-ცარიელი დასტოვა ამ სოფლის გლეხობა; მათი ერთად-ერთი წყარო ცხოვრებისა—სიმინდი და ვენახები ახმა. სიმშილობა თითქოს ყველას კარზე ადგია. ისედაც გაძვალტყავებული გლეხობა იძულებულია იყიდოს სიმინდი მთელი წლის განმავლობაში. ასეთ კრიზის დროს ხალხი თავისას მაინც არ იშლის და ისეთ უსარგებლო ზნე-ჩვეულებას ემსახურება, როგორც მაგალ. ტირილი და დღეობებია.

მოკვდება ვინმე თუ არა, გლეხი უკანასკნელ პერანგსა ყიდის, აუარება ხალხს ჰპატიჟობს და ტირილს მართავს.

სხვათა შორის, აქ დღესასწაულობენ „ამაღლებას“, ამ დღეს ისეთ ქოხს ვერა ნახავთ, რომ არა-არაფის ხმა არ ისმოდეს.—წელსაც ჩვენ სოფელს აუარება ხალხი მოაწყდა, გაიმართა ქეიფი; მსოლო ქეიფის შემდეგ კი—ხანჯლების ტრიალი.

აქეთ ქურდ-ბაცაცობამ იჩინა თავი; იპარავენ შინაურ საქონელს, ნივთებს და სხვას.. საჭიროა ამ მოვლენას ყურადღება მიაქციოს ვისგანაც ჯერ არს.—

ამ სოფელს ხოლერა არა სწვევია, მაგრამ მის მაგიერობას სწევს სხვადა-სხვა ავადმყოფობა; როგორც მაგალ. მუცელა, ხურვება, წითელა და სხვა. თერთმეტ-თორმეტ სულამდის მსხვერპლია. ავადმყოფებიც ბევრია.—

**პოლიხინეს ნათლული.**

—

**ს. კარდანახი.** 5 სექტემბერს, კახეთის რკინის გზის კომისია ბაკურციხიდან კარდანახსაც ეწვია.

აქაური გლეხები დიდის თანაგრძნობით დასთანხმდნენ ფულის მაგიერ აქციები აიღონ ლიანდაგისათვის საჭირო მამულში.

ხალხმა სთხოვა კომისიას პატარა სადგური მაინც გაკეთდეს ს. კარდანახში და კომისიაც დაჰპირდა. კომისია აქედან ანაგასა და ქიზიყისკენ გაემართა.

ადაზნის გადმა-გამოღმა ძალიან მატულობს ქურდობა და ავაზაკობა. ისე დღე არ გაივლის, სამი ოთხი კამეჩი და ან ორი-სამი ცხენი, არ დაიკარგოს. ყურადღებას კი არავინ აქცევს. ან კი რად უნდა აიტკიონ თავი, როცა სოფლის გამგებლებს არც არასა ჰპარავენ და არც არასა სტაცებენ?!

**კარდანახელი.**

—

**დ. ჭიათურა.** შაბათს, 4 სექტემბერს, დაბა ჭიათურაში, შუა-დღისას გაჩნდა ცეცხლი. პირველად ცეცხლი გაჩნდა ყავახანაში და შემდეგ მოედვა მახლობელ სასადილო დუქნებს.. ზარალი უდრის ოცი-ათას მანეთს.

წრეულს ადგილობრივ სამოქალაქო სასწავლებელს მთხოვნელი ბევრი მოაწყდა, მაგრამ ადგილი არ იყო, უმეტესად მოსამზადებელ განყოფილებაში:

აქაურ სამკითხველოს გამგეობა უგულისყუროთ ეკიდება თავის საქმეს, რა არ გინდათ რომ სამკითხველოში არა ნახოთ: ჩხუბი, გინება, ძილი და სხვა. ამასთანავე უნდა დავუმატოთ, რომ სამკითხველოს კეტავენ საღამოს 8 საათზე, სწორეთ მაშინ, როდესაც მუშა ხალხს შეუძლიან სამკითხველოში წასვლა და ჟურნალ-გაზეთების გადათვალიერება.

კარგი იქნება, რომ სამკითხველოტა გვიან იკეტებოდეს და მით მუშა ხალხს შეძლება ეძლეოდეს ჟურნალ-გაზეთების კითხვისა. **მლაშელი.**

—

**ქ. თელავი.** 30 აგვისტოს სიღნაღიდამ წინანდალში ამოიარა მართლმსაჯულების მინისტრმა შჩეგლოვიტოვმა თავისის ამალით. ღამე საუფლისწულო მამულში გაათია, ხოლო მეორე დღეს, საღამოთი, თელავზე გამოიარა. ქალაქის საზღვარზე მას დაჰხვდნენ მოსამსახურე პირნი, ქალაქის მოურავი, ხმოსნები და სხვა ხალხი.

პურ-მარილის მირთმევის დროს, ქალაქის მოურავმა სხვათა შორის, სთხოვა, რომ ტფ. საოლქო სასამართლო, აქაურ სამოქალაქო საქმეების გარჩევას თელავში ჰნიშნავდეს ხოლმე, როგორც წინად და არა ტფილისში, როგორც ამ უკანასკნელ წლებში სხდებოდა. მინისტრი დაჰპირდა თხოვნის შეწყნარებას.

აქ არ შემიძლიან არ შევეხო თხოვნის შინაარს. ჯერ ერთი მოურავს თავისი აზრი უპირველესად ყოვლისა ქალაქის რწმუნებულებისთვის უნდა გაეზიარებინა და მხოლოდ ამის შემდეგ მიერთმია მინისტრისთვის თხოვნა, მით უმეტეს, რომ მისი მოსვლა რამდენიმე დღის წინად იცოდა ყველამ, და მეორე კიდევ, თუ მართლა თელავის და შის მაზრის მცხოვრებთა სახელით უნდა მიემართნა, იყო საკითხი, რომელსაც უფრო ბევრად მეტი მნიშვნელობა აქვს მცხოვრებთა უმრავლესობისათვის, ვიდრე საოლქო სასამართლოს საქმეების თელავში გარჩევა.

ეს არის მომრიგებელ-სასამართლოს განყოფილების დაარსება მაზრის შორეულ რაიონში. თელავის მაზრაში ბევრს 55 ვერსის სიშორიდამ უხდება სიარული და რამდენიმე დღის მოცდენა.

ვინ იცის კიდევ რამდენი ნაკლი აქვს, როგორც თელავს, ისე მის მაზრას, მაგრამ ვინ არის პატრონი?

1 სექტემბერს ოფიციალურად გაიხსნა თელავის ვაჟთა პროგიმნაზია. წინა დღეს საგანგებოდ ჩამოვიდა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ბ. რუდოლფი სახალხო სკოლების დირექტორ ფედოროვსკის თანხლებით, რომელსაც ქალაქის საზღვარზე დაჰხვდნენ მაზრის თავ.-აზნ. წინამძღოლი თ. მ. ზ. ჭავჭავაძე, ქალაქის მოურავი და სხვ.

სასწავლებლის გახსნის დღესასწაულზე მეტად ცოტანი მიეწვიათ, ამან ცოტა არ იყოს უკმაყოფილება გამოიწვია საზოგადოებაში. პარაკლისი გადაიხადა ალავერდის ეპისკოპოზმა ე-ს. დავითმა, რომლის შემდეგ პროგიმნაზიის ინსპექტორმა ბ. ნიკიტსკიმ წაიკითხა სასწავლებლის დაარსების ისტორია. ბოლოს ოლქის მზრუნველმა სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც მოკლედ განმარტა საშუალო სკოლის მნიშვნელობა, მიულოცა თელაველებს მისი დაარსება, მის დამაარსებელთ და მასთან საზოგადოებას ურჩია შემდეგშიაც მუყაითად იყვნენ და სასწავლებლის შესანახი საშუალებაც გამონახონ, ვინაიდამ ხაზინის დახმარების იმედი არ უნდა ჰქონდეთო.

ამავე დღეს თავად-აზნაურობამ და ქალაქმა ოლქის მზრუნველი სადილად მიიწვიეს, რომელზედაც 50 კაცი დაესწრო, სხვათა შორის იყვნენ ყოვლად სამღვდელო დავითი, სახ. სკ. დირექტორი ფედოროვსკი და სხ.

მზრუნველმა დაათვალიერა თელავში არსებული სასწავლებლები, როგორც სამინისტრო, ისე სასულიერო და მეორე დღეს დაბრუნდა ტფილისში.

პროგიმნაზია მოწყობილია ქალაქის საუკეთესო ადგილს, ნადიკვრის მხარეს, სამოქალაქო სასწავლებლის მახლობლად ახლად შეკეთებულ სახლებში. ჯერჯერობით გაიხსნა მეორე და მესამე განყოფილება და პირველი კლასი. მიღებულია 70 მოსწავლე, სწავლის ფასი წელიწადში 800 მანეთია.

სამწუხაროდ ასეთ ახალ სიმპატიურ საქმეს ე. ი. პროგიმნაზიას, ზოგიერთი ვაჟბატონების წყალობით, თან იარები დაჰყვა, რომელსაც დაწვრილებით შემდეგ შევეხები.

**დაგვიწყებული**

# უცხოეთი

**იმპერატორი ვილჰელმი და საფრანგეთის ავიაცია.**

პარიზის გაზეთების სიტყვით იმპერატორ ვილჰელმის ერთმა დაახლოვებულმა პირმა მოხსენება წარუდგინა სამხედრო ავიაციის მდგომარეობაზე საფრანგეთში. მოხსენებაში ნაჩვენები იყო როგორ წინ წაიწია საფრანგეთმა ამ დარგში. ამის გამო ვითომ იმპერატორ ვილჰელმმა მიმართა გრაფ ცეპლინს და სთხოვა თავისი ძალა მოახმაროს ავიაციას და არა ჰაერონავციკას, და ცეპელინიც დასთანხმდა მიატოვოს დირიჟაბლი და დაიწყოს მუშაობა ჰაეროპლანების გასაუმჯობესებლად, სამხედრო მიზნებისათვის.

**ათინა.** დეპუტატების ფიცის მიღების დროს ეროვნულ კრებაზე დიდი არეულობა მოხდა. დამფუძნებელი კრების მომხრეებმა გამოსტაცეს სახარება მღვდელს, რომელიც აფიცებდა დეპუტატებს. ღვდელი გაიქცა. დროებითი თავმჯდომარე პრეზიდენტის სავარძლიდან ჩამოაგდეს და მისი ადგილი დაიჭირა დამფუძნებელი კრების ერთმა მომხრემ. ასტყდა აურზაური და დაერივნენ ერთმანეთს, რომლის დროსაც ბევრი დეპუტატი ფეხქვეშ ვაითელა. ტრიბუნიდან მაყურებელთაც მიიღეს მონაწილეობა არეულობაში და ჩხუბში. არეულობამ ნახევარ საათზე მეტი გასტანა. წესიერება ჯარის კაცებმა აღადგინეს.

**ჰაეროპლანები საფრანგეთის ჯარების ვარჯიშობაში.**

საფრანგეთში სამხედრო ვარჯიშობის დროს, უკვე შეუდგნენ აჰეროპლანების გამოცდას. გამოცდამ ძალიან კარგად ჩაიარა.

13 სექტემბერს მეორე კორპუსის უფროსის, გენერალ პიკარის ბრძანებით სამხედრო ავიატორებმა სიდო და მინერმა მოწინააღმდეგე ძალები დაზვერეს. მიუხედავად უამინდობისა ორთავე ავიატორები გენერალის მიერ დანიშნულ დროზე—დილის 6 საათზე, ბიპლანით გაფრინდნენ. მენერი ამუშავებდა აჰეროპლანს, ხოლო სიდო დაკვირვებას ახდენდა. აჰეროპლანი 500 მეტრის სიმაღლეზე ავიდა და იქ გაჩერდა. ავიატორებმა გაიარეს 60 კილომეტრი, გაიგეს მოწინააღმდეგეთა მოწინავე რაზმების და დამზვერავების მდებარეობა და 7 ს. და 5 წ. უკან დაბრუნდნენ. 7 ს. და 45 წ. პიკარმა მიიღო მოხსენება, რომლის ცნობების მიხედვითაც სულ ერთიანად შესცვალა თავისი ძალების მდებარეობა, ისე რომ მაშინვე შესძლო მტერზე თავდასხმა.

# რუსეთი

**ახალი წინასწარმეტყველი.**

პერმის გუბერნიის ირმიტის მაზრაში გამოჩენილა ვიღაც მიხეილ ბოლშაკოვი, უნტერ აფიცერი, რომელიც თავის თავს „დანიელის წინასწარმეტყველებისამებრ თავად მიხეილად აღიარებს“ და ადგილობრივ სამღვდელოებასთანაც ბოლშაკოვი თურმე ძალიან კარგ განწყობილებაშია.

ბოლშაკოვის წინასწარმეტყველობის მიზანია ააგოს „ახალი სიონი“ სოფელ ჩუმბოროვისა და ბეზსონოვოს შუა, მდ. ნიცის ნაპირის ერთ მაღლობ ადგილზე. ეს „ახალი სიონი“ სულ მთლად გაივსება კაცთა და ქალთა მონასტრებით და იქნება ზღუდე და საფარველი სარწმუნოებისა და მისი წინასწარმეტყველებისა. აი რასა სწერს თავის თავზე ბოლშაკოვი:

„საქმეთა მღვთისათა წმინდასა ამასა მთაზე გაუწყებთ საყვირითა, არა მოტყუებით, არა ხორციელისა ჰკუთ., არამედ სულითა წინასწარმეტყველისათა, სულის წმიდით. ამისთვის მომიწოდა ღმერთმა და ამირჩია დედის საშოდან, არჩეული ვარ იერუსალიმის მღვდელთაგან პატრიარქ დამიანეს ბრძანებით. ისინი იყვნენ ჩემი[?] მშობლების სახლში და მომიწოდეს აღსაშენებლად პატრიარქისა და იოანე კრონშტადტელის კურთხევით. მე ვემყარები წმ. ბიბლიასა, ისაიასა და მიხეიას წინასწარმეტყველებაზე... წინასწარმეტყველ დანიელის წიგნის მე-12 მუხლში ნათქვამია რომ ჟამსა ერთსა აღსდგება მიხეილი, დიდი თავადი. თავადმა მან უნდა დაამარცხოს ლევ ტოლსტოი,—ანტიქრისტეს წინამორბედი. მე ვმოქმედობ, ვწერ და გაუწყებთ ყველა ამას მთავარ ანგელოზი, მიხაილის შთაგონებით, იმან ამირჩია თავის იარაღად, ხოლო ეშმაკი აირჩევს ანტიქრისტეს ებრაელების მხრივ, რომელსაც იესო ქრისტე მოჰკლავს თავისი სიტყვის ძალით.. მამა იოანე კრონშტადტელის ნახვის შემდეგ ბევრი დამცირება და გინება ავიტანე, სამაგიეროდ უფალმა ამიხსნა ამ მთის დიადი საიდუმლოება და მომცა საყვირი იგი, რომლითაც ამ მთიდან უნდა უყვირო მთელს ქვეყნიერობას“.

ბოლშაკოვის მოგონება დევნის შესახებ აიხსნება იმით, რომ კრონშტადტელთან ყოფნის შემდეგ, ბოლშაკოვი პეტერბურგში გაგზავნეს, სადაც იგი წმ. ნიკოლოზის საავადმყოფოში იმყოფებოდა, როგორც სულით ავადმყოფი.

ბოლშაკოვის მოწოდებას მონასტრების გახსნის შესახებ გლეხები თანაგრძნობით შეხვდნენ. პირველად ის თხოულობდა დაარსებულიყო კაცთა და ქალთა მონასტერი ერთად, ახლა კი თანახმაა ორი მონასტერი დაარსოს ცალ-ცალკე კაცთა და ქალთათვის, ხოლო ერთმანეთის ახლო კი. ადგილიც ამოირჩია და ახლა უკვე დაარსდა რაღაც ქალების მონასტრის მაგვარი.

მონასტრების ასაშენებლად ბოლშაკოვმა მშვენიერი ადგილი აირჩია მაღალ გორაზე მდ. ნიცასა და ტიუმენ-ირმიტის გზის ახლო. იქ აშენებულ ქოხებს გარს არტყია ტირიფის ტყე. ხეებზე ყველგან გაკრულია „ღვთაებრივი სურათები“ და ხელთნაწერი მოწოდებანი და სწავლა მიხეილ ბოლშაკოვისა.

ახლად გამოჩენილ „წმიდანებს“ რომ უფრო მეტი ყურადღება მიეპყრათ, ამ ვაზაფხულზე განიზრახეს საკვირველ მოქმედება მოეხდინათ „გამოცხადებული ხატით“. ხატი იპოვეს წყალზე „წმ. ადგილის“ პირდაპირ, მაგრამ განზრახულ საკვირველ მოქმედებამ შესაფერი გავლენა ვერ მოახდინა, ვინაიდან ერთმა დურგალმა უდროო დროს დაიყბედა: „გამოცხადებული ხატის“ ჩარჩო მე გავაკეთეო „წმ. მონასტრის“ შეკვეთითაო.“

**თანამედროვე სტატისტიკა.**

1—31 აგვისტომდე, გაზეთების ცნობით, რუსეთის სხვა და სხვა ქალაქებში სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს 18 კაცს, სახელდობრ: კავკასიაში—5, ყაზანში—4, ტფილისში—4, ოდესაში—2, კიევში—2 და ეკატერინობურგში—1. ცხრა თვის განმავლობაში სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტიათ სულ—303 კაცი.

ამავე თვის განმავლობაში გაზეთების ცნობით სიკვდილით დაუსჯიათ კავკასიაში—2. ცხრა თვის განმავლობაში დაუსჯიათ სულ 116 კაცი.

მოვიყვანთ რამდენიმე ცნობას გაზეთების მდგომარეობის შესახებ წასულ თვეში: რედაქტორები ადმინისტრატიული წესით დააჯარიმეს ოცჯერ, სულ 3,750 მანეთით. დააჯარიმეს შემდეგი გაზეთები: „სევერნაია ზარია“—300 მან., „ეჟედნევნია იზვესტია“—300 მ., „კუბან. გაზ.“—200 მან., „დენ“—50 მან., „კერჩ. ფეოდ. კურიერი“—300 მან., „დონეცკაია ჟიზნ“—150 მან., „სოვრ. სლოვო“—300 მან., „კურიერი“—300 მან., „ვოლჟსკ. ვესტი“ (სამჯერ)—400 მან., „მოლოტი“—100 მან., „კიევსკაია მისლ“—100 მან., „იუჟნი კრაი“—200 მან., „ნოვ. ჟურ. დლია ვსეხ“—500 მან. და „ოგნი“—150 მან.

# წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენ თელაველ კორესპონდენტთა ბ.ბ. კლერიკალისა და ზარავანდას საპასუხოდ დაბეჭდოთ შემდეგი ჩემი წერილი.

თქვენს პატივცემულს გაზეთის №№ 39 და 56, თელაველი კორესპონდენტები „კლერიკალი“ და „ზარავანდა“ დიდის მწუხარებით და სევდით მოცულნი მოგვითხრობენ თელავის საკრებულო ტაძრის ორკლასიან სამრევლო სკოლის ერთ კლასიან სკოლად გარდაკეთებაზე, მის მასწავლებელთ ბ-ნ ჭიკაძისა და ქ-ნ დუკაშვილის დათხოვნაზე, რის ბრალსაც მე მდებენ.

ავიღოთ ხსენებულ კორესპონდენტთა წერილებიდან რამდენიმე მუხლი და გავშინჯოთ ცალ-ცალკე.

1, ბბ. კლერიკალი და ზარავანდა მოგვითხრობენ: „განსვენებულ დეკანოზის ხელაძის ხელში საკრებულო ტაძრის ყოველ კლასში, და მათ შორის პირველსა და მეორე კლასში, მოსწავლენი საკმარისად მოიპოვებოდნენ და სწავლაც კარგად მიდიოდა... ხოლო როცა სასწავლებლის გამგეობა გადავიდა მ. შიუკაშვილის ხელში, მოსწავლეთა რიცხვმა იკლო“-ო.

შეუფერებელია, მეტი რომ არა ვსთქვათ, პატივცემულ „სახალხო გაზეთის“ კორესპონდენტისათვის ამისთანა სიცრუის მოჩმახება გაზეთის ფურცლებზე. ხსენებულ სკოლის ჟურნალებით დავუმტკიცებთ, რომ ჩემს ხელში სკოლის მოსწავლეთა რიცხვი მეტი იყო, ვიდრე ჩემს წინამოადგილის ხელში და თუ 1906 წ. იმდენი რიცხვი მოსწავლეთა არ იყო, რამდენიც შეჰფეროდა ორ კლასიან სკოლას, ამის მიზეზი იყო პირველად ცნობილი მოძრაობა, როდესაც თავისუფლების მოტრფიალენი მოსწავლეთ სასწავლებლების კარებიდან ერეკებოდნენ და აღარ უშვებდნენ.

მეორეთ ამის მიზეზი გახლდათ ბბ. კლერიკალის და ზარავანდასაგან ქებულ-დიდებული და შეუდარებელი პედაგოგი ბ. ჭიკაძე, რომელმაც, აქაოდა თავისუფლების ნიავმა მოჰბერაო, სასწავლებელში მეცადინეობაზე ხელი აიღო, თვეობით სკოლას აკლდა, თელავის სამოსწავლო განყოფილების საბჭოს და სკოლის გამგის კანონიერს მოთხოვნილებას არ ასრულებდა და ეგოდენ გაზვიადდა, რომ ს. კონდოლში არყის ქარხანა გამართა, საიდანაც ტელეფონით უკარნახებდა თავის მოწაფეებს სკოლაში კაკვეთილებს; მესამე მიზეზი მოწაფეთაგან სასწავლო ფულის აღება დარიბ-დატაკ მშობლებთაგან და მეოთხე—დაარსება თელავში ოთხის წლის წინად სამინისტრო და ქ. ბაღდოევის დასაწყისი სკოლებისა.

2, ბბ. კლერიკალი და ზარავანდა მოგვითხრობენ: „მზესავით ნათელია, რომ მ. შიუკაშვილის სკოლის გამგედ დანიშვნა და სკოლის უფსკრულისკენ დაქანებება ერთი იყო“-ო. აბა, მივმართოთ საბუთებს, რას გვეტყვიან ამის შესახებ: საეპარქიო მეთვალყურის 1905 წ. ანგარიშიდან დაწყებული ამ 1910 წლის ანგარიშამდე, ყოველგან ამოიკითხავთ, რომ თელავის საკრებულო ტაძრის სკოლა სწავლის და წესწყობილების მხრივ ძალიან კარგს და განსაკუთრებულს ყურადღებას იქცევს, რისთვისაც მადლობელნი უნდა ვიყვნეთ მის გამგისა.

3, ბბ. კლერიკალი და ზარავანდა მოგვითხრობენ: „მასწავლებელი ხატიაშვილისა დათხოვნილ იქმნა და მის ადგილას სკოლის გამგის ქალი იქმნა დანიშნული“-ო. მასწავლებელი ხატიაშვილისა დათხოვნილ იქმნა თელავის სამოსწავლო განყოფილების საბჭოსაგან, რადგან იგი გათხოვდა და ამავე საბჭოს და საეპარქიო საბჭოს თავმჯდომარის განკარგულებით იქმნა დანიშნული ჩემი ქალი.

4, ბოლოს ზარავანდა ჰგოდებს და გლოვობს მასზედა, რომ სკოლის მესამე და მეოთხე განყოფილების 70 მოწაფეთ სკოლის კარედ რჩებიან. მეც თანაუგრძნობ ამ არა სასიამოვნო მოვლენასა, მაგრამ მიზეზათ ამ არა სასიამოვნო მოვლენისა გახდნენ ამ სკოლის ზარავანდასაგან ქებულ-დიდებული პედაგოგნი: ბ. ჭიკაძე და ქ. დუკაშვილი, რომელნიც ამ მიმდინარე წლის გაზაფხულს, ბ. საეპარქიო მეთვალყურის რევიზიის დროს, აღმოჩნდნენ ფრიად სუსტნი და მოუმზადებელნი მოსწავლეთა სწავლების საქმეში, რისთვისაც ბ. მეთვალყურის განკარგულებით ხსენებული ორკლასიანი სკოლა გადაკეთებულ იქმნა ერთ კლასიანად, ხოლო ბ. ჭიკაძე და ქ. დუკაშვილი დათხოვნილ იქმნენ სკოლიდან. დასამტკიცებლად ამ ფაქტისა ეკითხოს თელავის სამოსწავლო განყოფილების საბჭოს.

ბ. კლერიკალის და ზარავანდას დანარჩენ წვრილმან და უსაბუთო მსჯელობას პასუხის მიცემის ღირსად არა ვხდი, რადგან თვით მცირე ლოღიკურს მსჯელობის ნიშან წყალსაც კი მოკლებულია. უკეთუ ამ ჩემს პასუხის სიმართლეზე არ დარწმუნდებიან ბბ. კლერიკალი და ზარავანდა[...]—მათ ვთხოვ ნიღაბი აიხადონ, ... პირის სახით მეჩვენონ, სახელი და გვარი გამოაცხადონ, რომლის შემდეგ სამედიატორო წესით გაირჩეს ჩვენი დავა.

თელავის საკრებულოს ტაძრის სკოლის გამგე დეკანოზი **იოანე შიუკაშვილი.**

# განცხადებანი


**ექიმი** ე. ს. **ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში**

იღებს შინაგ., ქალ., ბებ. და ხიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—179

**დოქტ. ნავასარდიანისა**

უოველ დღე, კვირების გარდა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—1½ ს. შინაგან. და საბავშვო.

**ბ. გ. აგასაროვი:** 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**სქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი:** 6—6½ საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**


## მატარებლების მიმოსვლა

**18 აპრილიდან 1910 წ.**

საათები ნაჩვენებია ტფილისის დროს მიხედვით, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წუთით წინაა.

**ტფილისიდან გადის**

| | | |
|---|---|---|
| **ბათუმისკენ:** | N 1, სწრ.—საღ. | 11 ს. 28 წ. |
| | N 3, საფ-ს.—დღ. | 1 ს. 24 წ. |
| | N 5, სამგზ.—საღ. | 7 ს. 31 წ. |
| **ბაქოსკენ:** | N 2, სწრაფ.—დილ. | 8 ს. 15 წ. |
| | N 4, საფ-ს.—საღ. | 10 ს. 4 წ. |
| | N 12, სამგზ.—დღ. | 2 ს. 38 წ. |
| **ბორჯომისკენ:** | სამგზ.—დილ. | 8 ს. 28 წ. |
| | სამგზავ.—დღ. | 3 ს. 36 წ. |
| **ჯულფისკენ:** | საფოსტო—ღამ. | 12 ს. 22 წ. |
| **ერევნისკენ:** | სამგზავრო—დღ. | 4 ს. 15 წ. |

**ტფილისში მოდის**

| | | |
|---|---|---|
| **ბათუმიდან:** | N 2, სწრ.—დილ. | 7 ს. 25 წ. |
| | N 4, საფ-ს.—საღ. | 9 ს. 4 წ. |
| | N 6, სამგზ.—დილ. | 11 ს. 4 წ. |
| **ბაქოდან:** | N 1, სწრფ.—საღამ. | 10 ს. 36 წ. |
| | N 3, საფოს.—დღ. | 12 ს. 24 წ. |
| | N 1. სამგზ.—დილ. | 6 ს. 58 წ. |
| **ბორჯომიდან:** | სამგზ.—დილ. | 6 ს. 28 წ. |
| | სამგზ.—საღამ. | 8 ს. 08 წ. |
| **ჯულფიდან:** | საფოსტ.—დილ. | 6 ს. 8 წ. |
| **ერევნიდან:** | სამგზავ.—დღის. | 6 ს. 33 წ. |


◀ **სამეურნეო ჟურნალი** ▶

**მოსავალი**

**წელიწადი მეორე**

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის. ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით. რედაქცია ჰპირდება თავის ხელის მომწერლებს **რჩეულ** მცენარეების **საუკეთესო თესლის** გაგზავნას **უ ფ ა ს ო დ.**

თუ შესძლებს რედაქცია, ჟურნალის ხელის მომწერლებს წლის დამლევს გაუგზავნის აგრეთვე **უფასოდ** თითო **წიგნს-ბროშურას** მეურნეობის რომელსამე დარგიდან.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Барятинская 5. Редакція „Мосавали“.

**დააშურეთ**

გამოწერა ორი წყვილი

—◀ **შევროს, გემზის ან ბოქსოს ტყავის** ▶—

ფეხსაცმელისა ხელთვნური რანტით. განურჩევლად ქალისა თუ კაცისთვის

**სულ 6 მ. 50 კაპ. სრული თავმდებობა სიმკვიდრისა და ლაზათისა.**



ნუ აურევთ ჩვენი ფეხსაცმლების ფაბრიკაციას ფირმებთან, რომელნიც იაფად აცხადებენ ბაზრის საქონელს და არა ხელით ტყავის თირსიბებს, ფასონს და არ იძლევიან არავითარ თავმდებობას, რაც ძალიან სასურველია მყიდველთათვის!

საქმის კარგად შესრულების გამო ბევრი სამადლობელი წერილი მივიღეთ ბ.ბ. დამკვეთავებისაგან.—რომ ჩვენი წარმოების ფეხსაცმლები გავრცელდეს ფასი ქარხნის ფასებზე ნაკლები დავნიშნეთ. ჩვენი მიზანია—მოვიპოვოთ დიდი კონტინგენტი მუდმივ დამკვეთავებისა, ვინაიდან კარგი და მკვიდრი ფეხსაცმელი ამ ფასად სასარგებლოა ყველასათვის. ჩვენი ფეხსაცმელი უკანასკნელი მოდისაა ინგლისის, ან ამერიკულ ფასონისა,—ყაითნებით, ღილაქებით და რეზინით.—ხის ან მექანიკურ შპილკებით—ქალების ფეხსაცმლები მზადდება ფრანგული ახალი ქუსლებით—დაწვრილებით გაცნობთ იმიტომ, რომ შეგეძლოთ საჭირო ფეხსაცმელის მორიდან შეკვეთა.—გგზავნით დაკვეთისთანავე **ფას დადებით** და უბეოდ. აუცილებლად გვაცნობეთ ნამდვილი ნომერი ფეხსაცმელისა ან კალოშისა ან და ზომა ვერმოკებით. ფოსტის ხარჯი დამკვეთისაა. თუ ფეხსაცმელი არ მოგეწონათ გამოგვიგზავნით სხვას ან და ფულს დაუყოვნებლივ დაგიბრუნებთ. ამიტომ არავითარი შიში არ არის. ციმბირისა და აზიის დამკვეთებმა ბე უნდა გამოგვიგზავნონ.

ადრესი: Товариществу Джонъ Карло и К-о, Варшава, центральная почта, ящ. № 47—6. **წერილები რუსულ ან გერმანულ ენაზე.** (2—8—1)

(Метцль и К. N 55664)


სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3

რედაქტორ-გამომცემელი **იროდიონ სონღულაშვილი.**